

# 24 საათი

"24 საათის" ფიქციანი ნომერი

\*2424

იხილეთ ჩანართი



## საქართველოს ტერიტორიებით მოვაჭრა ბელარუსები

რომან ნაკოვლიძე  
მისტიკა  
სპეციალურად "24 საათისათვის"

ბელარუსის დელეგაცია, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროს ვლადიმერ მაკეის ხელმძღვანელობით, ორდღიანი ვიზიტით იმყოფებოდა აფხაზეთში. 12 მაისს დელეგაცია სერგეი ბაგაფშმა მიიღო. მისი პრეს-სამსახურის ცნობით, შეხვედრაზე განიხილეს აფხაზეთ-ბელარუსის თანამშ-

რომლობის საკითხები სხვადასხვა სფეროებში. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდა აგრეთვე პრეზიდენტის საქმეთა მმართველის პირველი მოადგილე ნიკოლაი კორბუტი. დელეგაციის სხვა წევრების გვარები ცნობილი არ არის. დღემდე პრეზიდენტის ადმინისტრაციას და საგარეო საქმეთა სამინისტროს ამ ვიზიტზე კომენტარი არ გაუკეთებიათ.

რუსეთის გარდა, აფხაზეთს და "სამხრეთ ოსეთს" დამოუკი-

დებელ სახელმწიფოებად არავინ აღიარებს, მათ შორის - არც ევროკავშირი. ინფორმაცია, რომ რუსეთის შემდეგ ნიკარაგუამ აღიარა სეპარატისტული ანკლავების დამოუკიდებლობა, სინამდვილეს არ შეესაბამება. ამ ცენტრალურ-ამერიკულმა სახელმწიფომ თავისი მხარდაჭერის შესახებ განაცხადა, მაგრამ, როგორც გაირკვა, რუსეთისგან კრედიტის მიღების შემდეგ მას ეს აღიარება საერთაშორისო სამარ-

თლის ნორმების თანახმად არ გაუფორმებია. ბელარუსი კი, რუსეთის ზემოქმედების მიუხედავად, აჭიანურებს ამ რუსული პროტექტორატების იურიდიულ აღიარებას. მოსკოვი მოითხოვს, რომ როგორც ე.წ. საკავშირო სახელმწიფოს ბელარუსულმა ნაწილმა, მინსკმა უნდა აღიაროს ის, რასაც 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგებს უწოდებენ.

ბაზრძალაბა A3 გვირდვა

ოპოზიციის ორი ინსტრუმენტი

A4



"ბედავით დავიწყა და ამით დავასრულა"

A12



## ოპერაცია პირობით კუნძულზე

ნატო-ს მრავალეროვანი სწავლება წარმატებით მიმდინარეობს

დათო ბაჩისონია

ნატო-ს მრავალეროვანი სწავლება რამდენიმე დღეა, საქართველოში ოფიციალურად გაიხსნა, თუმცა რუსეთის ფედერაციის პირველი პირები კვლავინდებურად აკრიტიკებენ მე-4 ქვეითი ბრიგადის ბაზაზე მიმდინარე მულტინაციონალურ წვრთნებს. ნატო-ს პროგრამის "პარტნიორობა მშვიდობისათვის" ფარგლებში საქართველოში სამხედრო ვარჯიშების ჩატარება სიახლე არ არის, ხოლო საკუთრივ "კოპერეტივ ლონგბოულანსერით" გათვალისწინებული ვარჯიშები გასულ წელს სომხეთშიც კი გაიმართა. რუსეთის რეაქცია ყოველ ჯერზე მწვავე იყო, მაგრამ წლებმანდა სწავლების მიმართ რუსეთის ფედერაციის დამოკიდებულება განსაკუთრებით არის გამძაფრებული.

ბაზრძალაბა A2 გვირდვა



14 ქვეყნის წარმომადგენელი ოფიცრები სამეთაურო შტაბში სწავლების თეორიულ ნაწილს ვაზიანის სამხედრო ბაზის ყაზარმებში ეცნობიან.

## ჯადოსნური ფდაკარი: WE DON'T WANNA PUT-IN

დევიდ ჯ. სანიტი  
სპეციალურად "24 საათისათვის"

ნორვეგიელ ალექსანდრე რიბაკის "Fairytale" (ჯადოსნური ზღაპარი) პატარა მხიარული სიმღერაა, რომელმაც გასულ შაბათ საღამოს მოსკოვში, 2009 წლის ევროვიზიის სასიმღერო კონკურსში გაიმარჯვა. "We Don't Wanna Put-In" კი სტეფანესა და სამი გოგოს სიმღერის სახელწოდებაა, რომელიც კონკურსზე ევროპის სამაუნსებლო კავშირმა აკრძალა, რათა ოლიმპიური არენიდან წამოსული სტრობოსკოპული სინათლის სხივებისგან რუსეთის პრემიერ-მინისტრის, როგორც ჩანს, მეტისმეტად სათუთი

ტყავი დაეცვა. "Fairytale" ასევე შეიძლება აღინეროს, როგორც ქუჩის მევიოლინეს საგა, ხოლო სამი მშვენიერი ქართველი გოგონასა და სასაცილო თმების მქონე ვაჟის სიმღერა არ წარმოადგენდა რეალური ცხოვრებიდან აღებულ ფარსს.

რიბაკსა და "Fairytale" ევროვიზიის 54-ე სასიმღერო კონკურსზე ტრიუმფი ხვდათ წილად. კონკურსის ისტორია 1956 წლის 24 მაისს დაიწყო, როცა 14 ქვეყნის წარმომადგენელი მომღერლები ევროვიზიის ქსელის შექმნის სანყის ეტაპზე, ახალი იდეისთვის სულის ჩასადგმელად, შვეიცარიის საკურორტო ქალაქ ლუგანოში შეიკრიბნენ. მაშინ გამარჯვებული შვეიცარიელი ლის ასია

გახდა, სიმღერით "Das Alte Karussell".

მას შემდეგ გამარჯვება წილად ხვდათ "ABBA"-ს "Waterloo"-ს და "Brotherhood of Man"-ის "Save all Your Kisses for Me". ზოგიერთი გამარჯვებულის სახელი კი ევროვიზიის სცენაზე ტრიუმფალური გამარჯვების შემდეგ იშვიათად თუ ისმოდა ხოლმე. თუმცა, კონკურსზე არ უღიარებიათ ისეთი სიმღერებიც, რომელთაც შემდგომში მსოფლიო წარმატება ერგოთ, მაგალითად 1958 წელს შილვერსამის კონკურსზე წარდგენილი დომენიკო მოდუნოს "Volare", "Nel Blu Dipinto di Blu" და ბეტო კერტისის "Al di Lb". თუმცა ეს ყველაფერი მაინც ძალიან სასიამოვნო და გასართობი იყო.

53 წლის განმავლობაში ევროვიზიის აუდიტორიამ 1000-ზე მეტი სიმღერა მოისმინა და ისიამოვნა. 2008 წელს ტელემავრებლების რაოდენობა, დაახლოებით, 100 მილიონი იყო; მხარდამჭერებმა 9 მილიონამდე ხმოვანი და ტელეტური შეტყობინება გააგზავნეს. გასულ წელს კონკურსში 43 ქვეყანა მონაწილეობდა.

ისინი 53-ე კონკურსისთვის ბელგრადში, 24 მაისს შეიკრიბნენ. გაიმარჯვა რუსეთის წარმომადგენელმა დიმა ბილანმა სიმღერით "Believe". საქართველოს წარმომადგენელმა დიანა ლურნკაიამ, სიმღერით "Peace Will Come", მე-11 ადგილი დაიკავა.

ბაზრძალაბა A3 გვირდვა

**24 საათი**

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე [www.24saati.ge](http://www.24saati.ge)

ჩვენი პარტნიორები:

**თიბისი ბანკი TBC BANK**  
ჩვენ ვაძლევთ ურთიანობას

**GRDC group**

**ჰი ჰი ჰი**  
შინის სადაზღვეო ჯგუფი

# ოპერაცია პირობით კონტაქტზე

პირველი გავრცელება

მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ქვეყანამ ნატო-ს სწავლებებში მონაწილეობისგან ბოლო მომენტში შეიკავა თავი და ამასთანავე, რუსეთის ხელისუფლება დღემდე მტკივნეულად აღიქვამს ალიანსის სამხედრო ვარჯიშებს, გუშინ მე-4 ქვეითი ბრიგადის ბაზაზე შეუფერხებლად მიმდინარეობდა ნატო-ს მრავალეროვანი სწავლების პირველი ნაწილის დასკვნითი ეტაპი - საშტაბო სწავლება "კოოპერეითი ლონგბოუ 09", რაც ითვალისწინებს ნატო-ს საშტაბო უნარ-ჩვევებისა და პროცედურების შესწავლას. გარდა ამისა, მისი მიზანია კრიზისულ ვითარებაში ნატო-ს და პარტნიორ ქვეყნებს შორის ურთიერთთავსებადობის გაზრდა.

გუშინ ვაზიანის სამხედრო ბაზაზე გამართულ პრესკონფერენციაზე მულტინაციონალური სწავლების თანადირექტორმა, ბრიგადის გენერალმა ჯოვანო სავარეზემ სამხედრო სავარჯიშოების პროფესიონალურ დონეზე მიმდინარეობის შესახებ ისაუბრა. "მასპინძელი ქვეყნის, მონაწილე ქვეყნებისა და მადრიდის სახმელეთო სარდლობის მიერ ამ ვარჯიშების ერთობლივი მომზადება კოორდინაციისა და თანამშრომლობის მაღალ დონეს მოითხოვს. ჩვენმა დამკვეთმა ვაშტაბო უწყისებმა და მათი წინააღმდეგობა დაინიშნა. ამ დროის განმავლობაში მათ ურთულესი სამუშაოს შესრულება მოუწიათ," - აღნიშნა ბრიგადის გენერალმა სავარეზემ. "კოოპერეითი ლონგბოუ 09"-ის მედიის დღეზე სამხედრო სწავლების თანადირექტორმა ქართლის მხრიდან, პოლკოვნიკმა ნუგზარ ცინცაძემ განმარტა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ქართული ჯარისთვის ვაზიანის სამხედრო ბაზაზე მიმდინარე სამხედრო ვარჯიშებს.



გენერალმა ვაზიანის ფოტო

"სწავლება შესაძლებლობას აძლევს საქართველოს შეიარაღებულ ძალებს, გახდეს ნატო-ს წევრი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებთან თავსებადი, დახვეწოს საშტაბო პროცედურები და მრავალეროვანი სწავლებების გამოცდილება მიიღოს, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს განვითარებას ჩრდილო-აღმოსავლეთ ალიანსში," - განაცხადა საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ვა-3 ოპერატიული დანაყოფის დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ, პოლკოვნიკმა ცინცაძემ.

ვაზიანის მე-4 ქვეითი ბრიგადის ბაზაზე მიმდინარე სწავლებაში მონაწილეობენ ნატო-ს ევროპული სარდლობის შტაბები, "პარტნიორობა მშვიდობისთვის" პროგრამაში შემავალი ქვეყნები, ხმელთაშუა ზღვის დიალოგის და სტამბულის თანამშრომლობის ინიციატივის მონაწილე ქვეყნები. წინასწარ განერილი გეგმის მიხედვით, სწავლების გახსნის შემდეგ ვაზიანის სამხედრო ბაზაზე მეორედ დაუშვებს მედიის ნარმომადგენლები. სწავლებაში მონაწილე ოფიცრებმა ჟურნალისტებს განუცხადეს, რომ მე-4 ქვეითი ბრიგადის ბაზაზე მიმდინარე საშტაბო ვარჯიშების სამეცადონო ოპერაციები ბელგიაში დაიგეგმა, ვარჯიშები კი - იტალიაში, რაც შეეხება უშუალოდ ვარჯიშის პრაქტიკულ მხარეს - ეს მადრიდის შტაბის სახმელეთო ძალების სარდლობის პრეროგატივაა. 14 ქვეყნის ნარმომადგენელი ოფიცრები სამეთაურო შტაბში სწავლების თეორიულ ნაწილს ვაზიანის სამხედრო ბაზის ყაზარმებში ეცნობიან. ამავე დროს ყალიბდება მრავალეროვანი ბრიგადა და ბატალიონი. გარდა ამისა, იქმნება მულტინაციონალური სამეთაურო რგოლი და მასზე დაქვემდებარებული ქვედანაყოფები. აგრეთვე, ნატო-ს პროცედურების გამოყენებით, მიმდინარეობს შტაბებს შორის კოორდინაცია და

ხედვით, სწავლების გახსნის შემდეგ ვაზიანის სამხედრო ბაზაზე მეორედ დაუშვებს მედიის ნარმომადგენლები. სწავლებაში მონაწილე ოფიცრებმა ჟურნალისტებს განუცხადეს, რომ მე-4 ქვეითი ბრიგადის ბაზაზე მიმდინარე საშტაბო ვარჯიშების სამეცადონო ოპერაციები ბელგიაში დაიგეგმა, ვარჯიშები კი - იტალიაში, რაც შეეხება უშუალოდ ვარჯიშის პრაქტიკულ მხარეს - ეს მადრიდის შტაბის სახმელეთო ძალების სარდლობის პრეროგატივაა. 14 ქვეყნის ნარმომადგენელი ოფიცრები სამეთაურო შტაბში სწავლების თეორიულ ნაწილს ვაზიანის სამხედრო ბაზის ყაზარმებში ეცნობიან. ამავე დროს ყალიბდება მრავალეროვანი ბრიგადა და ბატალიონი. გარდა ამისა, იქმნება მულტინაციონალური სამეთაურო რგოლი და მასზე დაქვემდებარებული ქვედანაყოფები. აგრეთვე, ნატო-ს პროცედურების გამოყენებით, მიმდინარეობს შტაბებს შორის კოორდინაცია და

## მიხეილ სააკაშვილი: "ჩვენ უნდა ვისწავლოთ არჩევნების ჩატარება"

წინანდალში მყოფი საქართველოს პრეზიდენტი გუშინ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს გამოეხმაურა. მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ ყველანაირი დიპლომატიური მიდინარეობის შიგნით უნდა წარმოებდეს, ისე როგორც ეს ცივილიზებულ სამყაროში ხდება.

პრეზიდენტის თქმით, მთავრობას სჭირდება საპარლამენტო კონტროლი და ამ მიმართულებით კიდევ ბევრი გასაკეთებელი.

"მეორე მხრივ არის დიპლომატიური მიდინარეობის წარმომადგენლების რაოდენობა შედარებით მცირეა, მაგრამ ჩვენ წინაშე დგას დიპლომატიური მიდინარეობის დროს არ დავგვიანებთ ჩვენს ნებრებს და გვა მივეცით ოპოზიციას, რათა ერთმანეთისთვის კონკურენცია გაენიანთ, რადგან ყველანაირი დიპლომატიური უნდა ხდებოდეს პარლამენტის შიგნით, როგორც ხდება ყველა ცივილიზებულ სამყაროში. ჩვენ გვქონია ღია დისკუსიებიც, მთავრობას სჭირდება საპარლამენტო კონტროლი და ამ მიმართულებით, რა თქმა უნდა, კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ საქართველოში ფეხის ბაკუნით და იარაღის ბრაგუნით ქვეყნის არევა არავის გამოუვა: "ვისაც თავისი ქვეყანა უყვარს და ვინც ყურებით არ ჰყავს ვილაცას დაჭერილი, ის, რა თქმა უნდა, იქნება დიპლომატიის მომხრე... მე ასე მინდა და ფეხებს დავაბაკუნებ და ასე იქნება და სხვისი აზრი არ მაინტერესებს, ეს აღარ მუშაობს და არ იმუშავებს. ფეხის ბაკუნით ქვეყნის არევა და იარაღის ბრაგუნითაც, სხვათა შორის, არავის გამოუვა."

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ საქართველოს ძალიან ეფექტური საპრეზიდენტო ინსტიტუტი სჭირდება.

პრეზიდენტის თქმით, საქართველოს სჭირდება ასევე ძლიერი პარლამენტი, რომელიც ყოველდღიურად გააკონტროლებს მთავრობას და სჭირდება დამოუკიდებელი სასამართლო.

"ჩვენ ვმუშაობთ საკონსტიტუციო ცვლილებებზე. საკონსტიტუციო ცვლილებების მიზანი ის კი არ არის, რომ ხელისუფლების რომელიმე შტო შესუსტდეს ან ცალმხრივად გააძლიეროს, ჩვენისთანა ქვეყანას, რომელსაც ასეთი გამოწვევები აქვს, სჭირდება ძალიან ეფექტური საპრეზიდენტო ინსტიტუტი და ამას ვამბობ მე, ადამიანი, რომელიც მეორე საპრეზიდენტო ვადაში იმყოფება და ამას ჩემთვის ნამდვილად არ ვიმზადებ. გვჭირდება ძალიან ეფექტური საპრეზიდენტო ინსტიტუტი, გვჭირდება ძლიერი პარლამენტი, რომელიც ყოველდღიურად გააკონტროლებს მთავრობას და გვჭირდება დამოუკიდებელი სასამართლო, რომელიც საქართველოში უფრო ნელა ვითარდება, ვიდრე ჩვენ ვისურვებდით, მაგრამ ნელ-ნელა ჩვენ იქითკენ მივდივართ," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტმა შესთავაზა ოპოზიციას, ერთობლივად შეიქმნას საარჩევნო სისტემა, გადმოიწიოს ადგილობრივი არჩევნები და ამის შემდეგ კონსტიტუციური ვადით ჩატარდეს საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები.

სააკაშვილის თქმით, ვადამდელი არჩევნები არ არის პოლიტიკური დაძაბულობის განმუხტვის გზა. "ჩვენ უნდა ვისწავლოთ არჩევნების ჩატარება. ჩვენ დავრწმუნდით, რომ რა არჩევნებიც არ უნდა ჩავატაროთ, ყოველთვის გამოჩნდება ვილაც ჯგუფი, რომელიც იტყვის, ცოცხალი თავით არ ვალდარებ არჩევნების შედეგებს და ყველა არჩევნები, რომელსაც მე არ მოვიგებ, ნამდვილი არ არის. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ასეა. პოლიტიკური დაძაბულობის როგორი განმუხტავია არჩევნები? აღარაფერს ვამბობს, რომ ფული უნდა დავხარჯოთ, ის, რაც უნდა დაინარჯოს ტრაქტორებზე, რთველებზე, უნდა დაინარჯოს პოლიტიკოსების საარჩევნო კამპანიაზე. ყველა ინვესტიცია გაჩერდება, იმიტომ, რომ ყოველ სამ თვეში მთავრობა იცვლება," - განაცხადა სააკაშვილმა.

პრეზიდენტის განცხადებით, ქვეყანაში არსებული პრობლემების გამო ქართული საზოგადოება მძიმე მდგომარეობაში იმყოფება, თუმცა, ყველაფერის მიუხედავად, ქართველებს აღმოაჩნდა სიბრძნე, რომ პროვოკაციებზე არ ნაშოგებულყვნენ და ამისთვის საქართველოს ხელისუფლება საზოგადოების წინაშე ვალშია. **საკუთარი ინფორმაცია**

## მაისის ბოლოს ირაკლი ალასანიას პოლიტიკური პარტიის დააფუძნებს

"ალიანსი საქართველოსთვის" ლიდერი ირაკლი ალასანია საკუთარ პოლიტიკურ პარტიას თვის ბოლოს დააფუძნებს.

როგორც "ალიანსი საქართველოსთვის" პრესსამსახურში განაცხადეს, ამ ეტაპზე აღნიშნულ საკითხზე აქტიური მუშაობა მიმდინარეობს.

პრესსამსახურის ინფორმაციით, "პარტიის დაფუძნება თვის ბოლოსთვის იგეგმება. მიმდინარეობს მუშაობის პროცესი. პარტიის შემადგენლობაში იქნებიან, რა თქმა უნდა, ირაკლი ალასანიას პოლიტიკური გუნდის წევრები და რამდენიმე ახალი სახეც, თუმცა ამის შესახებ განცხადებას თავად ირაკლი ალასანია გააკეთებს."

პარტიის შექმნის შესახებ ირაკლი ალასანიამ ჯერ კიდევ 1-ელ მაისს ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის პოლიტიკურ თოქშოუ "პოზიციაში" განაცხადა. ამასთან ალასანიამ აღნიშნა, რომ მისი პოლიტიკური გუნდი ხელისუფლებასთან შეხვედრისთვის კონკრეტულ წინადადებებს შეიმუშავებდა, რომლებსაც ალიანსში შემავალ პოლიტიკურ პარტიებს - "შემარჯვებულს" და "რესპუბლიკელებს" გააცნობდა, ამის შემდეგ კი ხელისუფლებას წარუდგენდა. **ჯი-იენი**

# სამხების რთული მისია

დღეს ქართულ პოლიტიკაში ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ფიგურა პიტერ სემნებია. ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის სპეციალური კავკასიაში ბოლოს ხანს თითქმის მუდმივად თბილისში იმყოფება და, დაძაბულობის განმუხტვის მიზნით, აქტიურ კონსულტაციებს მართავს საქართველოს ხელისუფლებასა და ოპოზიციის წარმომადგენლებთან. ამ დღეებში სემნებმა კონსულტაციების მორიგი რაუნდი დაასრულა და გუშინ საქართველოდან გაემგზავრა. თბილისიდან წასვლის წინ ევროკავშირის წარმომადგენელმა პოლიტიკურ მონაწილეებს მოლაპარაკებებისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდა.

მისი თქმით, დიალოგი, რომელიც პრეზიდენტსა და ოპოზიციის ლიდერებს შორის ერთი კვირის წინ შედგა, კარგი დასაწყისი იყო.

**"ახლა მთავარია, დიპლომატიის რეჟიმი შენარჩუნდეს და გაგრძელდეს უკვე კონკრეტული განხილვები იმ საკითხებისა, რომლებიც ქვეყნის მომავლისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და ქართულ საზოგადოებას ძალიან ანუხებს,"** - აცხადებს სემნები.

ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი საკონსტიტუ-

ციო ცვლილებების საკითხზეც საუბრობს და "უმნიშვნელოვანესად" მიიჩნევს იმას, რომ ეს ცვლილებები საყოველთაო კონსენსუსის საფუძველზე განხორციელდეს.

პიტერ სემნების ეს შეთავაზება მთლიანად მისაღებია ხელი-სუფლებისა და საპარლამენტო უმცირესობისთვის, მაგრამ არაფერს ნიშნავს არასაპარლამენტო ოპოზიციისთვის.

სახელისუფლებო გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა, პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ ჯერ კიდევ გასულ კვირას გამოთქვა მზადყოფნა, გაგრძელდეს კონსულტაციები და შემუშავდეს ხელისუფლების მიერ გამოქვეყნებული 5-პუნქტიანი გეგმის შესრულების კონკრეტული მექანიზმები.

ოპოზიციური საპარლამენტო ფრაქციები მმართველ გუნდთან თანამშრომლობაზე სიამოვნებით თანხმდებიან.

გიორგი თარგამაძის თქმით, ამ კონტექსტში მისთვის და მისი თანაფრაქციელებისთვის პირველხარისხიანია საკონსტიტუციო კომისიის შექმნა, რომელიც საკონსტიტუციო რეფორმებს მოამზადებს. მისივე განცხადებით, უნდა მომზადდეს ახალი საკონსტიტუციო მოდელი, შემდეგ

ჩატარდეს რეფერენდუმი, რომელიც ხალხს საშუალებას მისცემს, დააფიქსიროს თავისი მოსაზრება ამ ახალი კონსტიტუციური მოდელის შესახებ.

ამასთან, საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი დაჟინებით მოითხოვს, რომ ქვეყნის პრეზიდენტმა უარი თქვას პარტიულ კუთვნილებაზე და "ნაციონალურ მოძრაობას" გაემიჯნოს.

გიორგი თარგამაძის პოზიციას იზიარებს კიდევ ერთი საპარლამენტო ფრაქციის ლიდერი გია თორთლაძე.

"ძლიერი საქართველოს" თავმჯდომარის აზრით, კონსტიტუციური მოდელის შეცვლის საკითხი მხოლოდ მოსახლეობის მიერ უნდა გადაწყდეს - რეფერენდუმის გზით. თორთლაძე მიიჩნევს, რომ რეფერენდუმზე მისულმა ადამიანებმა არჩევანი უნდა გააკეთონ და გასცენ პასუხი კითხვას, მართვის როგორი მოდელი სურთ - საპრეზიდენტო, ნახევრადსაპრეზიდენტო თუ საპარლამენტო. თავად თორთლაძე საპრეზიდენტო რესპუბლიკის მოდელისკენ იხრება, რომელიც ძლიერი პარლამენტით იქნება დაბალანსებული.

საპარლამენტო უმცირესობისგან განსხვავებით, არასაპარლამენტო ოპოზიცია საკონსტი-

ხდება მაღალი და დაბალი დონის როგორც ბრძანებების, ასევე პატაკების მომზადების შესწავლა მეთაურებისა და შენაერთებისთვის.

გუშინ ჟურნალისტებმა მე-4 ქვეითი ბრიგადის ასეულების ყაზარმაში მრავალეროვანი სარდლობის სამეთაურო შტაბი დაათვალიერეს. ვაზიანში მიმდინარე სწავლების სამხედრო ხელმძღვანელობამ სპეციალურ რუკაზე წარმოადგინა პირობითად შექმნილი კუნძული - "ჯეველერი". "ლონგბოუ 09"-ის პასუხისმგებელმა ოფიცრმა, პოლკოვნიკმა დემოლმა წარმოადგინა მიმდინარე სამხედრო ვარჯიშების სცენარი, რომელიც გათვლილია ატლანტის ოკეანეში, პორტუგალიიდან 1200 კმ-ით დაშორებულ პირობით კუნძულზე რეალიზებისთვის. ყოველივე ამასთან ერთად, მრავალეროვანი ბრიგადის შტაბის სამეთაურო რგოლის მომზადება მოიცავს სხვადასხვა ამოცანებს კრიზისული სიტუაციების დროს. უცხოელმა ოფიცრებმა კონფლიქტის შემდგომ შექმნილი ვითარების დაძლევის თეორიულ ნაწილს წარმოადგინეს, რაც ითვალისწინებს პირობით კუნძულზე "ჯეველერიზე" მდებარე ქალაქ სონიურზე მშვიდობის მხარდაჭერას. კერძოდ, ქალაქის მნიშვნელოვანი პუნქტების დაცვას, უსაფრთხოების გაძლიერებას და სამოქალაქო პირთა ევაკუაციის ოპერაციის ჩატარებას. "ლონგბოუ 09" ასევე მოიცავს კონტრტერორისტული ოპერაციების ჩატარებას და თანმხლები ამოცანების მართვას, რათა პირობით კუნძულზე მდებარე ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის დროს დესტაბილიზაცია აღიკვეთოს. ვაზიანის სამხედრო პოლიგონზე დაგეგმილი მულტინაციონალური საველე ვარჯიშებისგან განსხვავებით, ნატო-ს მრავალეროვანი სწავლების საშტაბო ნაწილი ბრიგადის დონეზე ტარდება.

**გაზეთი "24 საათის" გამოცემა** **გამომცემელი შპს "გვ3". რედაქტორ-გამომცემელი: მამუკა ფარუშაშვილი, პაატა ვეშაპიძე.**  
**რედაქცია:** სოფიო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მია ჭალაგანიძე (საზოგადოება, Weekend), ინგა ალავეცი (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილაშინია (რეჟიმი), ანა ფარუშაშვილი (სპორტი). **რედაქციის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლევაიძე ტელ: 899 22 09 49. **მომავალი წლის** (მენეჯერი), ირაკლი ლევაიძე, დიმიტრი შალვაშვილი, თენგიზ ქორია, ნინო ყავლაშვილი  
**რედაქციის მისამართი:** თბილისი, 01-86. **ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**



### მიხეილ სააკაშვილი აზერბაიჯანში მიემგზავრება

20-21 მაისს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ოფიციალური ვიზიტით აზერბაიჯანში მიემგზავრება. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სააკაშვილი მოლაპარაკებებს გამართავს აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილხამ ალიევიანს, აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრ არტურ რასი-ზადესთან და მილი მეჯლისის სპიკერ ოქტაი ასადოვთან.

"საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტის მიზანი ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავება და საკითხთა ფართო სპექტრის განხილვა იქნება," - იუწყება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში არიან საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე, ეკონომიკური განვითარების მინისტრი ლაშა ჟვანია, ენერჯეტიკის მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური და სხვა ოფიციალური პირები.

საქართველოს დელეგაციის ვიზიტის ფარგლებში იგეგმება მთავრობათაშორისი ხელშეკრულებების გაფორმება. **ჯი-იჩი-ენი**

### ზურაბ კაჭკაჭიშვილი: რუსეთი უამრავ საერთაშორისო ნორმატიულ დოკუმენტს არღვევს

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ზურაბ კაჭკაჭიშვილის განცხადებით, რუსეთი სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე საოკუპაციო ჯარების განლაგებით არღვევს არა მხოლოდ მედვედევი-სარკოზის ხელშეკრულებას, არამედ უამრავ საერთაშორისო დოკუმენტს.

მისი თქმით, საქართველოს ამ ყველაფრის წინააღმდეგ არჩეული აქვს მხოლოდ და მხოლოდ დიპლომატიური გზა. "ჩვენ მხოლოდ დიპლომატიური გზა გვაქვს იმისთვის, რომ დავგმოთ ეს, მოვუწოდოთ იმავე ჩვენს პარტნიორ ქვეყნებს, საერთაშორისო თანამეგობრობას და დავაყენოთ ეს საკითხი ყველა საერთაშორისო ორგანიზაციაში. რუსეთი არღვევს არა მხოლოდ მედვედევი-სარკოზის ხელშეკრულებას, არამედ უამრავ საერთაშორისო ნორმატიულ დოკუმენტს," - განაცხადა ზურაბ კაჭკაჭიშვილმა. **ჯი-იჩი-ენი**

### 170 ქართველი სამხედრო ავღანეთში გაემგზავრება

საქართველო ავღანეთში 170 სამხედროს გაგზავნას გეგმავს, - ეს განცხადება საქართველოს თავდაცვის მინისტრმა დავით სიხარულიძემ გააკეთა. მისივე ინფორმაციით, ქართველი სამხედროები ფრანგული კონტინგენტის შემადგენლობაში იმსახურებენ.

თავდაცვის მინისტრის თქმით, ამ დროისათვის მიმდინარეობს იმის დაზუსტება, ავღანეთის კონკრეტულად რომელ რაიონში და რა პერიოდში დაინიშნებიან ქართველი სამხედროები სამხედრო სამსახურში მისიის შესრულებას. სიხარულიძე ასევე დასძენს, რომ ყოველივე ეს, საგარეოდ, უკვე მიმდინარე წელს მოხდება. **ჯი-იჩი-ენი**

### პრეზიდენტის პარტიული კუთვნილება

"ქრისტიან-დემოკრატიული" მოძრაობის ლიდერი გიორგი თარგამაძე კრიზისული სიტუაციიდან განწმენის გზად ვადაძელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას მიიჩნევს.

როგორც გიორგი თარგამაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, უნდა ჩატარდეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, არჩევნების კონსტიტუციური გარემოში ჩატარების უზრუნველსაყოფად პრეზიდენტმა უარი თქვას პარტიულ კუთვნილებაზე და გაემიჯნოს "ნაციონალურ მოძრაობას".

"ჩვენ მხარს ვუჭერთ ახალ საკონსტიტუციო რეფორმას. ამ რეფორმით უნდა მოხდეს ვადამდელი არჩევნების ჩატარება. მიგვაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ამისთვის ქვეყანაში უნდა შექმნას კონსტიტუციური გარემო და უარი თქვას პარტიულ კუთვნილებაზე. ქვეყანაში ყველა რეფორმა უკეთ ტარდება, როცა პრეზიდენტი პარტიული არ არის," - განაცხადა თარგამაძემ.

ექსპერტი მამუკა არეშიძე გიორგი თარგამაძის იდეას გამოეხმაურა. მან პრეზიდენტისთვის პარტიული კუთვნილების აკრძალვა ქვეყნისთვის წინგადადგმულ ნაბიჯად შეაფასა.

"თუ პრეზიდენტს აკრძალვდა რომელიმე პარტიისადმი კუთვნილების უფლება, საქართველოსთვის ეს ყველაზე კარგი გამოსავალი იქნება. ეს მოდელი მოქმედებს თურქეთში და ამართლებს. სამწუხაროდ, თარგამაძის მიერ გამოთქმული აზრები საზოგადოებაში აღიქმება, როგორც ხელისუფლების მიერ ინსპირირებული აზრი. ამიტომ საჭიროა, აღნიშნულ დებულებაზე უფრო ფართომასშტაბიანი ახსნა-განმარტება ჩატარდეს," - განაცხადა არეშიძემ.

პარლამენტის პირველ ვიცე-სპიკერ მიხეილ მაჭავარიანს პარტიისგან პრეზიდენტის გამიჯვნის იდეა არ მოსწონს. მისი თქმით, საქართველოს მიზანი ევროპული სახელმწიფოს შექმნა და აუცილებელია იმ პრიორიტეტების გათვალისწინება, რაც ევროპული სახელმწიფოსთვის არის საჭირო.

"ასეთი რეგულაციების დანერგვა სწორად არ მიმაჩნია, რადგან ვფიქრობ, რომ გამოკვეთილი უნდა იყოს, თუ რომელი პოლიტიკური პარტია და ძალა აგებს პასუხს მიმდინარე მოვლენებზე," - განაცხადა მაჭავარიანმა. მიუხედავად ამისა, ის აღნიშნული საკითხზე დისკუსიას საჭიროდ მიიჩნევს, რათა საზოგადოებამ დასკვნა სწორედ ამ დისკუსიიდან გამოიტანოს. **საკუთარი ინფორმაცია**

# ოპოზიციის ორი ინსტრუმენტი

## საპროტესტო აქციები და მოლაპარაკებები

### ნათია მსხილაძე

გუშინ ჭადრაკის სასახლეში ოპოზიციის ლიდერებისა და საზოგადოების წარმომადგენელთა შეხვედრა გაიმართა, სადაც ერთმანდალ ინიშნა, რომ 26 მაისს ხელისუფლებამ და საერთაშორისო საზოგადოებამ კიდევ ერთხელ მკაფიოდ უნდა გაიგოს საქართველოს მოსახლეობის ხმა.

"ერთი მხრივ, მწვავე, მშვიდობიანი ქუჩის აქციები და, მეორე მხრივ, ხელისუფლებასთან მოლაპარაკებები ის ორი ინსტრუმენტია, რომლებიც შეთანხმებული მოქმედების შემთხვევაში მხოლოდ გააძლიერებენ ერთობლივ ძალისხმევას და უფრო ეფექტიანს გახდის ბრძოლას რეჟიმის წინააღმდეგ. გააცანით საზოგადოებას თქვენი შეთანხმებული პოზიცია და მკაფიო ხედვა სააკაშვილის წასვლის შემდეგ მოვლენათა განვითარებაზე, რაც მომავლის რწმენასა და იმედს გაუჩენს ხალხს," - ნათქვამია მიმართვაში, რომელიც ჭადრაკის სასახლეში შეკრებილმა საზოგადოების წარმომადგენლებმა მიმართეს ოპოზიციის ლიდერებმა მედიისთვის განცხადებით შეხვედრის დასრულების შემდეგ გაკეთეს. ლევან გაჩეჩილაძის განაცხადებით, მიღებულია ორი გადაწყვეტილება: პირველი გადაწყვეტილებაა ის, რომ საზოგადოებამ პოლიტიკოსებზე წინ უნდა წაინიოს და მეორე გადაწყვეტილებაა მიმართვა, რომელიც საზოგადოების წარმომადგენლებმა მიიღეს.

ნინო ბურჯანაძის განცხადებით კი, მას სიტუაციის გამწვავება არ სურს, თუმცა ოპოზიციას მხოლოდ ორი არჩევანი აქვს - ან შეეგუოს არსებულ ვითარებას, ან გააგრძელოს ბრძოლა არსებული უსამართლობის წინააღმდეგ. ოპოზიცია ყველაფერს გააკეთებს, რათა სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვალოს. "თუ ყველანი ვიქნებით ერთად, ვიქნებით აქტიურები, მაშინ ყველაფერი კარგად იქნება. მე პირადად არ მაქვს სურვილი, სიტუაცია გამწვავდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, გვაქვს არჩევანი - ან ვიბრძოლოთ იმის წინააღმდეგ, რაც არის ქვეყანაში, ან შევედოთ ამ ყველაფერს. უკან დახევა არ ვაპირებთ. შევცდებით, ყველაფერი ჩავდით იმაში, რომ ეს გამოსწორდეს," - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მისი თქმით, ოპოზიციას ხელისუფლებისგან პრეზიდენტთან შეხვედრის მეორე რაუნდის შესახებ სერიოზული განცხადება არ მოუხმენია. "მეორე რაუნდისთვის სერიოზულ მზაობაზე განცხადება ხელისუფლების მხრიდან არ ყოფილა. რაც შეეხება კრიზისიდან გამოყვანის მთავარ გზას, რაზეც ოპოზიცია საუბრობს, ამ კრიზისს ხელისუფლება საერთოდ ვერ ხედავს," - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მისი თქმით, ოპოზიციას ხელისუფლებისგან პრეზიდენტთან შეხვედრის მეორე რაუნდის შესახებ სერიოზული განცხადება არ მოუხმენია. "მეორე რაუნდისთვის სერიოზულ მზაობაზე განცხადება ხელისუფლების მხრიდან არ ყოფილა. რაც შეეხება კრიზისიდან გამოყვანის მთავარ გზას, რაზეც ოპოზიცია საუბრობს, ამ კრიზისს ხელისუფლება საერთოდ ვერ ხედავს," - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მისი თქმით, ოპოზიციას ხელისუფლებისგან პრეზიდენტთან შეხვედრის მეორე რაუნდის შესახებ სერიოზული განცხადება არ მოუხმენია. "მეორე რაუნდისთვის სერიოზულ მზაობაზე განცხადება ხელისუფლების მხრიდან არ ყოფილა. რაც შეეხება კრიზისიდან გამოყვანის მთავარ გზას, რაზეც ოპოზიცია საუბრობს, ამ კრიზისს ხელისუფლება საერთოდ ვერ ხედავს," - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მისი თქმით, ოპოზიციას ხელისუფლებისგან პრეზიდენტთან შეხვედრის მეორე რაუნდის შესახებ სერიოზული განცხადება არ მოუხმენია. "მეორე რაუნდისთვის სერიოზულ მზაობაზე განცხადება ხელისუფლების მხრიდან არ ყოფილა. რაც შეეხება კრიზისიდან გამოყვანის მთავარ გზას, რაზეც ოპოზიცია საუბრობს, ამ კრიზისს ხელისუფლება საერთოდ ვერ ხედავს," - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

გუშინ ოპოზიციონერებმა საკონსტიტუციო კომისიის შექმნაზეც გააკეთეს კომენტარი.



საპროტესტო აქციები

თინა ხიდაშელის აზრით, საკონსტიტუციო კომისიის შექმნა უშედეგო იქნება, რადგან პრეზიდენტ სააკაშვილს პარლამენტში უმრავლესობა ჰყავს და კონსტიტუციას თავის სასარგებლოდ შეცვლის.

"ეს არის სახლობანას თამაში, 1995 წელს შევარდნაქემ ერთ ღამეში შეცვალა კონსტიტუციის პროექტი, ამას ველოდებით სააკაშვილისგანაც, რომელსაც საკონსტიტუციო უმრავლესობა ჰყავს," - აღნიშნა ჭადრაკის სასახლეში ჟურნალისტებთან საუბრისას თინა ხიდაშელმა.

რაც შეეხება ხელისუფლებასთან დიალოგის მორიგ რაუნდს, ხიდაშელს მიაჩნია, რომ ოპოზიცია მზად არის სააკაშვილთან შესახვედრად, თუმცა პრეზიდენტს ისინი მხოლოდ კონკრეტული შედეგების მოლოდინის შემთხვევაში შეხვედებიან.

### ჭადრაკის სასახლიდან "მოდულის" შენობამდე

ჭადრაკის სასახლიდან ოპოზიციონერთა ლიდერებმა და აქციის მონაწილეებმა ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის შენობასთან გადაინაცვლეს, ვაჟა-ფშაველას გამზირი გადაკეტეს და აქცია გამართეს.

"ჩვენ სიმბოლურად შევიკრიბეთ "რუსთავი 2"-თან, რადგან ეს არის სახელისუფლებო ტელევიზია და აქციის აქ გამართვა პროტესტის ერთგვარი გამოხატულებაა," - განაცხადა "ალიანსი საქართველოსთვის" წარმომადგენელმა მამუკა კაციტაძემ.

"რუსთავი 2"-ის შენობის შემდეგ საპროტესტო აქცია შინაგან საქმეთა სამინისტროს ე.წ. მოდულის შენობასთანაც გაგრძელდა.

"კონსერვატორმა" ზვიად ძიძიგურმა "მოდულის" შენობას "კრახანების ბუდე" უწოდა. მისივე თქმით, სააკაშვილის ხელისუფლება მაშინ დასრულდება, როცა ეს კრიმინალური სამსახური არსებობას შეწყვეტს და საქართველოს სამსახურში ჩადგება.

არასაპარლამენტო ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა

ირაკლი ბათიაშვილმა კი "მოდულის" თანამშრომლებს "ხალხის გვერდით დგომისკენ" მოუწოდა.

"მოდულის" შენობასთან საპროტესტო აქცია მცირე ინციდენტით დასრულდა. მაშინ, როდესაც "კონსერვატიული პარტიის" წევრი ლაშა ჩხარტიშვილი მომიტინგეებს 18:00 საათზე პარლამენტთან შეკრებისკენ მოუწოდებდა, ტრიბუნასთან მივიდა ნასვამი მამაკაცი, რომელმაც შეკრებილთა სახლში წასვლა და დაშლა ურჩია. ამის შემდეგ აქციის მონაწილეებსა და უცნობ მამაკაცს შორის მცირე შელაპარაკება მოხდა. აქციის მონაწილეებმა ინციდენტი პროვოკაციად შეაფასეს.

### ოპოზიციის ნ-პუნქტიანი ინიციატივა

9 აპრილის აქციების ორგანიზატორი პოლიტიკური პარტიების მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, ოპოზიციის შეთავაზება 6 პუნქტს მოიცავს:

პირველი - რეალური ნაბიჯების გადადგმა პოლიტიკური კრიზისის დასაძლევად, რაც პრეზიდენტის გადადგომას და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნას, 2009 წლის შემოდგომაზე სამართლიანი და თავისუფალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას და საპარლამენტო არჩევნებთან ერთად, თბილისის მერის არჩევნების ჩატარებას გულისხმობს.

მეორე - საკონსტიტუციო რეფორმები, რომლებიც კონსტიტუციური ცვლილებების გზით, 2009 წლის ოქტომბრისთვის მორიგი საპარლამენტო არჩევნების თარიღის დადგენასა და საპარლამენტო არჩევნებთან ერთად, კონსტიტუციური მოწყობის საკითხებზე პლენარული ჩატარებას მოიცავს.

მესამე - სამართალდამცავი სისტემის პოლიტიკური მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად იუსტიციის და შინაგან საქმეთა მინისტრებად ოპოზიციის მონაწილე პირების დანიშვნა და შინაგან საქმეთა სამინისტროდან კონსტიტუ-

ციური უსაფრთხოების დეპარტამენტისა და უშიშროების სხვა ქვედანაყოფების გამოყოფა.

მეოთხე - სასამართლო რეფორმის დასაწყებად ოპოზიციასთან შეთანხმებით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის დანიშვნა.

მეხუთე - საარჩევნო რეფორმის დასაწყებად ოპოზიციასთან შეთანხმებით ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დანიშვნა და ცესკო-ს ახალი თავმჯდომარის ხელმძღვანელობით საარჩევნო კოდექსზე სამუშაო ჯგუფის შექმნა.

მეექვსე - მედიასივრცის გაჯანსაღებისთვის და საზოგადოებრივი მაუწყებლის რეფორმის დასაწყებად ოპოზიციასთან შეთანხმებით "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ახალი დირექტორისა და სამურვეო საბჭოს წევრების დანიშვნა, "მეორე არხის" მართვის გადაცემა პოლიტოლოგთა და ექსპერტთა შეთანხმებული ჯგუფისთვის, ტელეკომპანია "იმედის" დაბრუნება კანონიერი მესაკუთრისთვის და მაუწყებლობის ლიცენზირების ხელშეწყობის ბარიერების აღმოფხვრა.

"მიმდინარე წლის 11 მაისს არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებისა და მიხეილ სააკაშვილის შეხვედრისას კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ხელისუფლება სრულიად არაადეკვატურად აფასებს ქვეყანაში შექმნილ დრამა პოლიტიკურ კრიზისს და ამიტომ შეუძლებელია მასთან კონსტრუქციული დიალოგის გზით პრობლემების მოგვარება," - ნათქვამია 9 აპრილის აქციებზე პასუხისმგებელი პოლიტიკური ძალების განცხადებაში.

მათი თქმით, პრეზიდენტმა გამოთქვა ზოგადი მზადყოფნა რამდენიმე მიმართულებით რეფორმების განხორციელებაზე, ამიტომ ოპოზიცია ხელისუფლებას სთავაზობს წინადადებებს, რომელთა 26 მაისამდე ხორცშესხმის შემთხვევაში შესაძლებელია, ეროვნული თანხმობის მიღწევით და ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცების პროცესი დაიწყოს.

# "ნიუ იორკ ტაიმსი": "გაზის ფასის პარდნის გამო რუსეთი გავლენის ერთ-ერთ ბერკეტს დაემშვიდობა"

ტაქტიკა, რომელსაც კრემლი "გაზპრომის" გასაძლიერებლად იყენებდა, რუსეთის წინააღმდეგ შემობრუნდა. რუსეთმა გავლენის ერთ-ერთი ბერკეტი დაკარგა, - წერს გაზეთი "ნიუ იორკ ტაიმსი", - მიზეზი გაზზე ფასის დაცემაა. გამომცემლობის აზრით, ესწრაფოდა რა გაზის მიწოდების მონოპოლიზებას, პუტინმა დაავალდებულა "გაზპრომი", ცენტრალური აზიის ქვეყნებთან ხანგრძლივი კონტრაქტები ისეთ ფასზე დაედო, რომელიც ამჟამინდელ მსოფლიო ფასებს ბევრად აჭარბებს.

ამჟამად, როდესაც გლობალური კრიზისის პირობებში ბუნებრივ გაზზე მოთხოვნა მკვეთრად შემცირდა, "გაზპრომი" იძულებულია, ძვირადღირებული ცენტრალურ-აზიური გაზი იყიდოს და ზარალით გაყიდოს, საკუთარი ჭაბურღილები კი დახუროს.

ჯონათან ფ. სტერნის (ბუნებრივი გაზის სფეროში კვლევების დირექტორი ოქსფორდის ენერჯეტიკულ მეცნიერებათა ინსტიტუტში) შეფასებით, მოთხოვნა "გაზპრომის" მიერ მონოპოლიზებულ გაზზე მიმდინარე წელს დაახლოებით 60 მლრდ კუბამეტრით შემცირდება - დაახლოებით იმდენით, რა მოცულობის შექენაც კომპანიამ, კონტრაქტების მიხედვით, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან ივალდებულა.

ამასთან, "გაზპრომმა" უზბეკეთის გაზი 2009 წელს ათასი კუბამეტრი საშუალოდ 340 დოლარად უნდა შეიძინოს. უკრაინა მისგან გაზს 230 დოლარად ყიდულობს, ევროპაში კი წლის ბოლომდე ფასი - 240 დოლარი შენარჩუნდება, ვარაუდობს გაზეთი.

ასეთი არახელსაყრელი სიტუაცია პრობლემებს უქმნის "გაზპრომს", რომელიც პუტინის რუსეთის ძლიერებისა და თავგასულობის სიმბოლო გახდა, - წერს გამომცემლობა, - ხოლო "გაზპრომის" ფინანსური პრობლემები პირდაპირ აისახება სახელმწიფო ხაზინაზე.

## უმსხვილეს, გერმანულ ბაზარზე "გაზპრომმა" მიწოდება 50.5%-ით შემამცირა

ევროპელებმა გაზის მოხმარება სულ რაღაც 2%-ით შემამცირეს, "გაზპრომის" ექსპორტი კი თითქმის 40%-ით დაეცა. რუსული საწვავი მეტისმეტად ძვირი აღმოჩნდა, - ადასტურებს უპუბლიკაცია "ვედომოსტი"-ში.

საერთაშორისო ენერჯეტიკულმა სააგენტომ გამოაქვეყნა უახლესი სტატისტიკური მონაცემები გაზზე ევროკავშირის მოთხოვნილების შესახებ: გაზის საერთო მოხმარება თებერვალში 6,1%-ით შემამცირდა, იანვარ-თებერვალში - 2,4%-ით; იმპორტი ორი თვის მანძილზე 12%-ით დაეცა (2008 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით).

ამ ციფრების შედარებას კი არ შეიძლება ევროპაში გაზის მიწოდების შემცირების მაჩვენებლებთან: თითქმის მინუს 40% თებერვალში და 39% პირველი კვარტლის შედეგად.



ბით. "გაზპრომის" წილი ევროპის ბაზარზე (თურქეთის ჩათვლით) I კვარტალში 30%-დან 18%-მდე დაეცა, გამოთვალა East European Gaz Analysis-ის დირექტორმა მიხეილ კორნეიკინმა (თუმცა რუსული მონოპოლია მაინც უმსხვილეს მიმწოდებლად რჩება). "გაზპრომ ექსპორტის" მენეჯერები დარწმუნებულნი არიან, რომ ევროპელები III კვარტალში რუსულ გაზზე ფასის მკვეთრ შემცირებას უცდიან, მანამდე კი ადგილობრივი მწარმოებლების სანჯავს, აფრიკულ თხევად გაზს, საცავეებში დაცულს და ა.შ. იყენებენ.

მართლაც, "გაზპრომის" ფასები ყველანაირ საზღვარს სცილდება: საშუალო ფასი ევროკავშირისთვის 390-400 დოლარია. შედარებისათვის: ნორვეგიული StatoilHydro-ს ("გაზპრომის" უმსხვილესი კონკურენტი ევროკავშირის ბაზარზე) ფასი 360-370 დოლარი იყო, Shell-ისა - 333.

გერმანულ ბაზარზე მიწოდება "გაზპრომმა", 2008 წელს შედარებით, 50,5%-ით შემამცირა, იტალიაში ექსპორტი კი 51,5%-ით დაეცა, თუმცა იტალიურმა Eni-მ საკუთარ ქვეყანაში გაყიდვები სულ 14%-ით შემამცირა.

ჯერჯერობით არ დაზარალებულა "გაზპრომის" ამონაგები: I კვარტალში მაღალი ფასისა და დოლარის გამყარების წყალობით, ევროპაში მიწოდების გამო კონცერნმა 18%-იანი ზრდა მიიღო. თუმცა მოგება მაინც თითქმის 5-ჯერ დაეცა (33 მლრდ რუბლამდე). ყველაფერი შუა აზიაში ძვირი გაზის შესყიდვებმა გააფუჭა (თითქმის 340 დოლარად, როგორც პრემიერი პუტინი ამბობდა): თვითღირებულებამ 200,6 მლრდ რუბლი შეადგინა, რაც შემდგომ ორჯერ გაიზარდა.

## "გაზპრომმა" უკრაინას 11 მლრდ კუბამეტრით მეტი გაზი მიჰყიდა

2009 წლის პირველ კვარტალში "გაზპრომმა" უკრაინას

განაცხადა 11 მლრდ კუბამეტრით მეტი გაზი მიჰყიდა, წერს გაზეთი. გაყიდვების მოცულობამ 13,5 მლრდ კუბამეტრი შეადგინა, თუმცა ადრე კონცერნი 2,5 მლრდ გაზის გაყიდვის შესახებ აცხადებდა. კომპანიაში "ზედმეტი" გაზის შესახებ კომენტარზე გაზეთის უარი უთხრეს. წლის დასაწყისში კომპანიამ RosUkrEnergo, რუსული გაზის უკრაინაში მიწოდების სქემიდან ამოგდების გამო, უკრაინულ საცავეებში 11 მლრდ კუბ/მ გაზი "დაკარგა". გამომცემის მიხედვით, ამ მოცულობის გაზის ფასი 4 მლრდ დოლარს აჭარბებს.

"ნაფტოგაზ უკრაინი"-სათვის RosUkrEnergo-ს გაზის გადაცემის საქმე უკანასკნელი თვეების მანძილზე უკრაინაში ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური ამბავი გახდა. მოგვიანებით "ნაფტოგაზმა" განაცხადა, რომ უკრაინის საცავეებში არსებული, RosUkrEnergo-ს მთელი გაზი მას ეკუთვნის.

## მთავრობის სხდომა, სავარაუდოდ, ჩვეული რეჟიმით გაიმართება

საქართველოს მთავრობის სხდომა მიმდინარე კვირაში, სავარაუდოდ, ჩვეული გრაფიკით, ჩატარდება. როგორც "მედიაინუს" მთავრობის კანცელარიის პრესსამსახურში განუცხადეს, არ არის გამორიცხული, მთავრობის სხდომა მიმდინარე კვირაშიც რომელიმე რეგიონში გაიმართოს. როგორც ცნობილია, გასულ კვირას აღმასრულებელი ხელისუფლება სხდომაზე წინანდალში შეიკრიბა.

როგორც კანცელარიის პრესსამსახურში აცხადებენ, პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური დიდი ბრიტანეთიდან დღეს დილით დაბრუნდა, სადაც 13-17 მაისს ევროპის განვითარების და რეკონსტრუქციის ბანკის მმართველთა ყოველწლიურ შეხვედრასა და ბიზნესფორუმში მონაწილეობდა. მიმდინარე კვირიდან კი მთავრობა, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, მუშაობას ჩვეული რეჟიმით შეუდგება.

## გურიაში ახალი ხიდი გაიხსნა

მიმდინარე ცივზე ახალი ხიდი გაიხსნა. საზეიმო ცერემონიალს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე რამაზ ნიკოლაიშვილი დაესწრო. ხიდმა ჩხოროწყუსა და მარტვილის რაიონები დააკავშირა.

მიმდინარე ცივზე ხიდი მანამდე არ არსებობდა, რის გამოც მოსახლეობას შემოვლითი გზებით უწევდა მიმოსვლა. ახალმა ხიდმა სავალი გზა დაახლოებით 50 კილომეტრით შეამცირა.

სამშენებლო სამუშაოები განახორციელა შ.პ.ს. "ხიდმა". სამუშაოების ღირებულებამ 1 მლნ. 685 ათასი ლარი შეადგინა, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა.

## დოლარის კურსი 1.655 ნიშნულზე დაბალანსდა

2009 წლის 15 მაისს თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის სავაჭრო სესიაზე მონაწილეობდა ოთხი კომერციული ბანკი, ერთი მყიდველის და სამი გამყიდველის სტატუსით.

საბირჟო ვაჭრობა დაიწყო კურსით: 1 აშშ დოლარი/1.6550 ლარი. დაიღო სამი საბირჟო გარიგება, რომელთა საერთო მოცულობამ 300 000 აშშ დოლარი შეადგინა. უცხოურ ვალუტაზე კომერციული ბანკების მხრიდან თავდაპირველმა მოთხოვნამ 200 000, ხოლო მიწოდებამ 7 300 000 აშშ დოლარი შეადგინა.

თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის დღევანდელ ვაჭრობაში მოთხოვნა-მიწოდება დაბალანსდა შემდეგი კურსით: 1 აშშ დოლარი/1.6500 ლარი. 16 მაისიდან ძალაში შევა აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი: 1 აშშ დოლარი/ 1.6500 ლარი.

- 1 აშშ დოლარი - 1,6500 ლარი;
- 1 ევრო - 2,2415 ლარი;
- 1 ინგლისური გირვანქა სტერლინგი - 2,5100 ლარი;
- 1 შვეიცარიული ფრანკი - 1,4904 ლარი;
- 1 ქუვეითური დინარი - 5,7005 ლარი;
- 1 თურქული ლირა - 1,0537 ლარი;
- 100 იაპონური იენი - 1,7323 ლარი;
- 10 ჩინური იუანი - 2,4174 ლარი;
- 100 რუსული რუბლი - 5,1434 ლარი;
- 1 აზერბაიჯანული მანათი - 2,0533 ლარი;
- 1000 სომხური დრამი - 4,4166 ლარი;
- 100 ინდური რუპია - 3,3300 ლარი;
- 1 ახალზელანდიური დოლარი - 0,9730 ლარი;

## ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობა შემცირდა

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2009 წლის აპრილში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 60,7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 22,9 მლნ აშშ დოლარით, ანუ 27,4 პროცენტით ნაკლებია 2008 წლის აპრილის ანალოგიურ მაჩვენებელზე. ფულადი გზავნილების მოცულობის შემცირება ძირითადად რუსეთიდან მათი ნაკადების კლება გამოიწვია 19,2 მლნ აშშ დოლარით, ანუ 37,5 პროცენტით. ფულადი გზავნილები შემცირდა ასევე: უკრაინიდან - 1,9 მლნ აშშ დოლარით ანუ 31,2 პროცენტით, სომხეთიდან - 1,7 მლნ აშშ დოლარით ანუ 70,9 პროცენტით, ესპანეთიდან - 0,6 მლნ აშშ დოლარით ანუ 27,4 პროცენტით, აგრეთვე ზოგიერთი სხვა ქვეყნიდან.

უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 87,3 პროცენტი იმ 7 უმსხვილეს დონორ ქვეყანაზე მოდის, საიდანაც ასეთი გზავნილების მოცულობამ აპრილში 1 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ 7 ქვეყანაზე გასული წლის აპრილში მთელი ფულადი გზავნილების 88,5 პროცენტი მოდიოდა.

ეს ქვეყნებია: რუსეთი, აშშ, უკრაინა, საბერძნეთი, იტალია, თურქეთი და ესპანეთი.

2009 წლის აპრილში საქართველოდან საზღვარგარეთ 5,8 მლნ აშშ დოლარი გადაიგზავნა, 2008 წლის აპრილში კი 7,6 მლნ აშშ დოლარი. გადარიცხვები შემცირდა რუსეთში - 0,8 მლნ აშშ დოლარით ანუ 22,8 პროცენტით, აგრეთვე ზოგიერთ სხვა ქვეყანაში.

## საქართველო კომპიუტერული მეკობრეობით პირველ ადგილზეა

"ბიზნეს სოფიერ ელიენსის" ოფიციალური ინფორმაციით, მსოფლიოში პროგრამული უზრუნველყოფის მეკობრეობის მხრივ, საქართველო პირველ ადგილზეა.

მეკობრეობის დონე საქართველოში 95 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილზე ბანგლადეშია, მესამეზე კი სომხეთი. მეკობრეობა მინიმუმამდე დაყვანილი აშშ-ში, იაპონიაში და ლუქსემბურგში. საერთო ჯამში, მსოფლიოში მეკობრეობის დონე 41 პროცენტს აღწევს, რაც პროგრამული უზრუნველყოფის სფეროში მომუშავე კომპანიების 53 მილიარდი დოლარით აზარალებს.



# "გადატვირთვის" პირველი მსდელობა

მარიკა იაშვილი

ამერიკელ ექსპერტთა დელეგაცია, რომელიც სტრატეგიულ იარაღზე ახალი შეთანხმების შესახებ გამართულ მოლაპარაკებებში მიიღებს მონაწილეობას, უკვე მოსკოვშია. დღემდე არსებული შეთანხმების მოქმედების ვადა მიმდინარე წლის დეკემბერში იწურება და დარჩენილი თვეების განმავლობაში მხარეებმა ახალი დოკუმენტი უნდა შეიმუშაონ. თუმცა იმის შანსი, რომ რუსეთი და ამერიკა შეთანხმებას დარჩენილ დროში მიაღწევენ, სულ უფრო ცოტა რჩება - მოსკოვი გეგმავს, რომ სტრატეგიული თავდასხმითი იარაღის საკითხი აღმოსავლეთ ევროპაში ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განთავსების საკითხს დაუკავშიროს. ვაშინგტონისთვის კი ასეთი პირობები, სავარაუდოდ, მიუღებელი იქნება.

მოლაპარაკებები 19 და 20 მაისს გაიმართება. პირველი შედეგები 6 ივლისისთვის, აშშ-ს პრეზიდენტ ბარაკ ობამას რუსეთში ვიზიტის დაწყებისთვის უნდა იყოს მზად. "მომავალ მოლაპარაკებებზე არა უბრალოდ შეხედულებათა განხილვა, არამედ კონკრეტულად მომავალი შეთანხმების განხილვაზე გადასვლა და მხარეების მიერ კონკრეტული წინადადებების წამოყენება მოხდება," - აცხადებენ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში. მოლაპარაკებებზე რუსეთის დელეგაციას საგარეო საქმეთა სამინისტროს უსაფრთხოებისა და განიარაღების დეპარტამენტის დირექტორი ანატოლი ანტონოვი წარმოადგენს, ხოლო ამერიკას - სახელმწიფო მდივნის მოადგილე როუზ ჰო-

ტემელერი, რომელიც ამ თანამდებობაზე დანიშნულად მოსკოვის კარნეგის ცენტრს ხელმძღვანელობდა. ორი ქვეყნის დელეგაციების წინაშე ამბიციური ამოცანები დგას - 5 თვის განმავლობაში მოამზადონ ახალი შეთანხმება და თანაც ისეთ ვადებში, რომ სახელმწიფო სათათბიროსა და კონგრესში მისი რატიფიცირება მოესწროს. გარდა ამისა, დიპლომატებისა და სამხედრო ექსპერტების წინაშე კიდევ ერთი ამოცანა დგას - მოამზადონ რუსულ-ამერიკული სამიტის ჩატარების წინაპირობები. სამიტი 6-8 ივლისს მოსკოვში ჩატარდება. როგორც მოლაპარაკებამდე რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რუსეთს იმედი აქვს, რომ იარაღის შემცირების თაობაზე გამართულ პირველ შეხვედრაზე ვაშინგტონის ოფიციალურ პოზიციას შეიტყობს. მისი განცხადებით, პირველ არაოფიციალურ შეხვედრაზე, რომელიც ანტონოვსა და ჰოტემელერს შორის რომში 24 აპრილს შედგა, გაირკვა რომ რუსეთისა და ამერიკის შეხედულებების ერთმანეთთან მიახლოებისა და შეთანხმების შემუშავების სერიოზული შანსი არსებობს. პირველი სრულფორმატიანი შეხვედრისთვის ორივე მხარეს ერთმანეთის მსგავსი პოზიცია აქვს. კერძოდ, ისინი ფიქრობენ, რომ პირველი შეთანხმების გაგრძელება შეუძლებელია, ამიტომ უნდა გაფორმდეს ახალი დოკუმენტი, რომელშიც გადაიხედება სტრატეგიული ბირთვული იარაღის შემცირების საკითხი, რაზეც ორივე მხარე თანახმაა. თუმცა, შემცირება არ უნდა იყოს რადიკალური, რადგან ამას არც რუსეთი და არც აშშ სხვა და სხვა მიზეზთა გამო არ თანხმდები-

ან. ლავროვის მოადგილე სერგეი რიაბკოვის განმარტავს, რომ ჰიპოთეტურად შესაძლოა ნებისმიერი ციფრი განიხილებოდეს, მაგრამ რაც უფრო შემცირდება იარაღის დასაშვები რაოდენობა, მით უფრო სერიოზულად წამოიჭრება რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემებისა და ამ სფეროში სხვა ბირთვული სახელმწიფოების პოტენციალის პრობლემა. "ამიტომ რეალისტები უნდა ვიყოთ და გადაუჭრელ ამოცანებს არ უნდა შევეჭიდეთ," - აღნიშნავს მინისტრის მოადგილე. თავის მხრივ, ჰოტემელერმა განაცხადა, რომ ამჟამად აშშ-ში ბირთვული პოტენციალის შეფასება მიმდინარეობს და "უაღრესად მნიშვნელოვანია, ეს შეფასება მანამდე დასრულდეს, სანამ აშშ იარაღის მასშტაბურად შემცირებას დაიწყებს." ამასთანავე სახელმწიფო მდივნის მოადგილემ აღნიშნა, რომ აშშ-სა და რუსეთს "შეუძლიათ, სტრატეგიული იარაღის შემცირების შესახებ შეთანხმებას მიაღწიონ და 2009-2010 წლის შემდეგ კიდევ უფრო მასშტაბური შემცირების შესახებ დაიწყონ მოლაპარაკება." 2002 წელს გაფორმებული დოკუმენტის მიხედვით, ბირთვული თავდასხმითი იარაღის დასაშვები ზღვარი 2200-დან 1700 ერთეულამდე იყო. ამავდროულად რუს ექსპერტების მიაჩნიათ, რომ რუსეთისთვის ქვედა ზღვარი შეიძლება მხოლოდ 1500 ერთეულით განისაზღვროს. "წინააღმდეგ შემთხვევაში, მის სტრატეგიულ ბირთვულ პოტენციალს შესაძლოა სერიოზული საფრთხე დაემუქროს ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების გლობალური პროექტის გამო," - განაცხადა ერთ-ერთმა ექსპერტმა. ამერიკისა და რუსეთის ოფიცია-

ლური განცხადებები გვაძლევს შესაძლებლობას, დავასკვნათ, რომ მათ შეხედულებებს შორის ბევრი თანხვედრაა. ორივე მხარე თანხმდება იმაზე, რომ ახალი დოკუმენტი მხარეებს იურიდიულად უნდა ავალებდებოდეს მასში შემავალი მოთხოვნებისა და პირობების შესრულებას, უნდა შეიცავდეს კონტროლის მკაცრ ზომებს და შემცირება უნდა ეხებოდეს არა მხოლოდ უშუალოდ იარაღს, არამედ მის გადამზადებულ საშუალებებსაც. თუმცა არსებობს რამდენიმე საკითხი, რომლებზეც მხარეებს აზრთა მკვეთრი სხვადასხვაობა აქვთ. უთანხმოების მთავარი თემა იარაღის კოსმოსში განთავსება, რასაც რუსეთი ეწინააღმდეგება და ამასთანავე მოსკოვის მოთხოვნა, რომ შემცირება სანაწილებში მოთავსებული იარაღსაც შეეხოს. თუმცა სერგეი ლავროვი აცხადებს, რომ მისთვის ამერიკის შეხედულებები გასაგებია და ამიტომ დათმობაზე კატეგორიულ უარს არ ამბობს. ჯერჯერობით ბუნდოვანი რჩება ამერიკის დამოკიდებულება რუსეთის მოთხოვნისადმი, შემცირებაში გათვალისწინებული იყოს არაბირთვული ალჭურვილობაც და აიკრძალოს სტრატეგიული თავდასხმითი იარაღის განლაგება ქვეყნის ფარგლებს გარეთ. თუმცა ამ საკითხების გარდა, შეთანხმებისთვის მთავარ დაბრკოლებად კვლავ რჩება ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემები. პრემიერ-მინისტრ ვლადიმირ პუტინის განმარტებით, სტრატეგიული ძალების თავდასხმითი და თავდაცვითი მხარეები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, აქედან გამომდინარე, შეთანხმების გაფორმებისას ამ საკითხს დიდი ყურადღება მიექცევა. რუსეთის დამოკიდებულებიდან აშკარად ჩანს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ვაშინგტონი აღმოსავლეთ ევ-

როპის მიმართ თავის გეგმებს სერიოზულად არ გადახედავს, შესაძლოა, ხელშეკრულების გაფორმება, უბრალოდ, შეუძლებელი გახდეს. ამავდროულად ობამას ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განთავსების ბედი ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი და ეს მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ეფექტური იქნება შეთანხმება, რომელზეც ახლა მიმდინარეობს მუშაობა. მიუხედავად რუსეთსა და ამერიკას შორის მთელ რიგ საკითხებში აზრთა დიდი სხვადასხვაობისა, ექსპერტები მთავარ პრობლემად მაინც დროს მიიჩნევენ. ამერიკელთა წარმომადგენელი როუზ ჰოტემელერი არ გამორიცხავს, რომ დოკუმენტის რატიფიკაციისთვის დამატებითი დრო გახდეს საჭირო. ამავდროულად რუსეთმა უკვე ოფიციალურად გააკეთა განცხადება, რომ პირველი შეთანხმების ვადის ავტომატურად გაზრდას არ დათანხმდება, რადგან მან, მოსკოვის აზრით, თავისი თავი უკვე ამოწურა. ლავროვის განცხადებით, მისთვის მიუღებელია ამერიკის შეხედულება იმის შესახებ, რომ იმ შემთხვევისთვის, თუ დოკუმენტის დროულად მომზადება ან რატიფიცირება დეკემბრამდე ვერ მოესწრება, შემუშავებული იყოს მეორე, დროებითი ვარიანტი. ბირთვული იარაღის შემცირების შესახებ შეთანხმება როგორც მოსკოვისთვის, ისე ვაშინგტონისთვის იმიჯის საკითხია, რადგან მისი წარმატებით შემუშავება ორი ქვეყნის ურთიერთობების "გადატვირთვას" პირველი დადასტურება გახდება, ხოლო თუ შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდება, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ რეალურად ურთიერთობებში არავითარი განახლება არ მომხდარა.

# ლიტვის პირველი ქალი პრეზიდენტი

მარიკა იაშვილი

ლიტვის საპრეზიდენტო არჩევნები დასრულდა. საარჩევნო მართონში გამარჯვება დალია გრიბაუსკაიტემ მოიპოვა. მის სასარგებლოდ ამომრჩეველთა 69 პროცენტმა მისცა ხმა. "გამოცხადებული ნდობისთვის მადლობელი ვარ," - აღნიშნა ახალმა პრეზიდენტმა მას შემდეგ, რაც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კვირას ჩატარებული არჩევნების საბოლოო შედეგები გამოაცხადა. გრიბაუსკაიტე დამოუკიდებელი კანდიდატის სტატუსით იყრიდა კენჭს. მოქალაქეობრივი ვალის მოსახდელოდ საარჩევნო უბნებზე ამომრჩეველთა 51.7 პროცენტი გამოცხადდა. იმისთვის, რომ მეორე ტური არ ჩატარებულიყო, რომელიმე კანდიდატს ხმათა, მინიმუმ, 50 პროცენტი უნდა დაეგროვებინა. 50 პროცენტი უნდა ყოფილიყო ამომრჩეველთა აქტივობაც. გრიბაუსკაიტეს გარდა, რომელიც ლიტვის პირველი ქალი პრეზიდენტია, არჩევნებში კიდევ ექვსი



დალია გრიბაუსკაიტე გამარჯვებას აღნიშნავს

კანდიდატი მონაწილეობდა. ყოფილი ევროკომისრის ძირითადი მეტოქე ლიტვის "სოციალ-დემოკრატიული პარტიის" ლიდერი, სეიმის წევრი ალგირდას ბუტკიაბიჩიუსი იყო, რომელმაც ხმათა 11.9 პროცენტი მოაგროვა. საპრეზიდენტო არჩევნები ლიტველთა სულ უფრო მზარდი შემფოთების ფონზე წარმართა, რომელიც ბალტიისპირეთის ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით არის განპირობებული. საარჩევნო კამპანიის დროს გრიბაუსკაიტემ არაერთხელ გააკრიტიკა ის ზომები, რომლებსაც მთავრობა ეკონომიკის სფეროში მიმართავდა. 2004 წელს ევროკავშირში შესვლის შემდეგ ლიტვა რამდენიმე წლის განმავლობაში ეკონომიკური აღმავლობის გზაზე იდგა, თუმცა ბოლო დროს ქვეყანა მწვავე კრიზისსა და უმუშევრობის მკვეთრ ზრდას განიცდიდა. არსებული მდგომარეობის გამო ლიტვაში საპროტესტო აქციებიც იმართებოდა, რომლებიც იანვარში პოლიციისა და დემონტრანტებს შორის შეტაკებაში გადაიზარდა.



# ბანკი 1000 საქართველოს ბანკი

ბანკით ნაბაი, რაჩოთ ბათაშაშაშა, შოგოთ შინაშე შინაშე და ბიან



საქართველოს ბანკი  
BANK OF GEORGIA





# ერევან



კორეის დედაქალაქ სეულში უჩვეულო შენობა აღმართეს. მისი კედლები სხვადასხვა ფერისა და ფორმის კარებებითაა მოპირკეთებული. შენობა პრაქტიკულად ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენს და მის სანახავად უამრავი ადამიანი იკრიბება. აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა ეს კარი ადრე სეულის მაცხოვრებლებს ეკუთვნოდათ და როდესაც ამ შენობის მოპირკეთების შესახებ გახდა ცნობილი, საკუთარი სურვილით მიიტანეს პროექტის ავტორებთან.

AFP - 2009

## მუზეუმების კვირეული დაიწყო

საქართველოს ეროვნული მუზეუმი UNESCO-ს წარმომადგენელს მასპინძლობს

### თამარ ჯიქნაველიძე

საქართველოში მუზეუმების საერთაშორისო დღის აღნიშვნა ეროვნული მუზეუმის აუდიტორიიდან დაიწყო. იქ შეკრებილ ადამიანებს, რომელთა შორის ამ დანესებულების თანამშრომლები ჭარბობდნენ, სიტყვით მიმართეს საპატიო სტუმრებმა, კერძოდ: კრისტიან მანჰარტმა (იუნესკოს მუზეუმებისა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის განყოფილების ხელმძღვანელი), გეორგიოს ხაძიმეძეს (საბერძნეთის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი საქართველოში), ჟოელ ბასტენერმა (საფრანგეთის ელჩის მრჩეველი თანამშრომლობის და კულტურულ ღონისძიებათა დარგში) და დავით ცხადაძემ (საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილე). შეხვედრა ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა - დავით ლორთქიფანიძემ გახსნა, რომელმაც ამ გაერთიანების მიღწევებზე ისაუბრა.

დავით ლორთქიფანიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეროვნული მუზე-



უმისთვის უმნიშვნელოვანესია საქართველოში სარესტავრაციო-საკონსერვაციო სფეროს განვითარება, ამისათვის უცხოეთში სტაჟირება უკვე რამდენიმე ქართველმა გაიარა. ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდება. დღეს საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოები კომპანია "ბიპი"-ს დახმარებით ამოქმედებულ ლაბორატორიაში ხორციელდება.

რითი ამაცობს ეროვნული მუზეუმი? ცხადია იმ კულტურული მონაპოვართ, რომელიც იქ ინახება და იმ თანამშრომლებით, რომლებიც მას, შეიძლება ითქვას, რომ უანგაროდ ემსახურებიან. წარმატებით განხორციელებულ პროექტებს შორის ეროვნული მუზეუმის ხელმძღვანელმა სილნალისა და დმანისის მუზეუმები გამოყო. პირველ მათგანში სულ მალე საფრანგეთის იონის მხარის ქალაქ ვეზელეს ზერვოსის მუზეუმში დაცული პიკასოს 40 ნამუშევარი გამოიფინება. "კულტურული მემკვიდრეობა არ არის მხოლოდ მემკვიდრეობა, ის ჩართული უნდა იყოს თანამედროვეობაში", - გვითხრა დავით ლორთქიფანიძემ.

გაზრდილება A11 გვირდვა

ბასა ჯანიკაშვილის სკეტი



ინტერვიუ ოცდამეორე აბენტაბი თუ არბანდობი

ჩემი სტუმარია მოქალაქე, საპროტესტო ელექტორატის აქტიური შიგთავსი, (ახალი ტერმინი) ნუნუ სიმფონია. ქალბატონი ნუნუ სიმფონია 1988 წლიდან მიტინგებით ცხოვრობს. მისთვის სულ ერთი არ არის ქვეყნის ბედი თუ უბედობა. ჩემთან საუბარში არაჩვეულებრივი პრინციპულობა და სითამამე გამოიჩინა. რაც, რა თქმა უნდა პატივსაცემია, მხოლოდ, დაეთანხმებით თუ არა ეს თქვენთვის მომინდვია.

ბასა ჯანიკაშვილი - ქალბატონი ნუნუ, ჩემი სკეტი ადრე გაზეთ "24 საათში" შაბათობით იბეჭდებოდა, ახლა სამშაბათს დაიბეჭდება ხოლმე.

ნუნუ სიმფონია - დიდი ამბავი, რა ეშვებოდა ჩემს ქვეყანას, მაგია მთავარი. ვკითხულობდი ბატონო ბასა თქვენს სვეტებს შაბათობით და ძალიან მომწონდა, მარა რად გინდა? შეიცვალა რამე? იმ დღეს რომ გამოაქვეყნეთ, გადადგეს ოპოზიციას, მაი არ მომიწონა ნამეტნავად.

ბ.ჯ. - გადადგეს ოპოზიციამ? ეგ მე არ დამინერია. ნ.ს. - თქვენ დაწერეთ და არა აქვს ახლა მნიშვნელობა. შეცდომა ვის არ მოსვლია.

ბ.ჯ. - კი, მაგრამ მე არ დამინერია. არ მომიტოვია ოპოზიციის გადადგომა, ავერთ რაღაც. თუმცა მოდით, ძირითად პოლიტიკურ თემას დავუბრუნდეთ. როგორც ამბობენ, ახალი შეხედვა მზადდება. რა აზრის ხართ ზოგადად ოპოზიციის და ხელისუფლების შეხვედრებზე?

ნ.ს. - ალასანია არის მოგზაურობის მიმას აგენტი! აი, რას ვფიქრობ მე. და თარგამდე როა ის არაკაც...

ბ.ჯ. - უკაცრავად, უნდა გაგაცხადონოთ, შეურაცხყოფის გარეშე თუ შეიძლება.

ნ.ს. - კი ბატონო, მაგის გარეშე ცოტა გამიჭირდება მაგრამ შევეცდები. ახლა რაშია საქმე! ალასანია სულ კი გაიძახოდა მოლაპარაკებები მოლაპარაკებებიო მარა ვინ წარმოიდგენდა, რომ ოცი წელია მიტინგებზე დადგვიან და თუ ვინმე კიდო მომატყუებდა. რაღა მეგონა, რომ ამას იკადრებდა კაცი ამერიკაშია ნამუშევარი.

ბ.ჯ. - რას "კადრულობს" ალასანია ისეთს, თქვენი აღმოფოთება რომ გამოიწვივ?

ნ.ს. - რას და მაგან გაახსენებინა კოსტავას გამზირი. მაგან დაინყო ეს მოლაპარაკებები და ჩააყენა უხერხულში მთელი ოპოზიცია. ახლა ისინი უარს ვერ ეუბნებიან არ გამოვ ერთობა მერე და ქე ვართ ასე. გადავცეკეთ და გადავცეკეთ, მარა ალასანიამ გაახსენებინა.

ბ.ჯ. - კი მაგრამ, რა არის იმაში ცუდი, რომ ოპოზიციამ ლაიერების უნარი გამოავლინოს და დამტკიცოს, რომ მას გადავცეკვტო შეუძლია გზების და გახსნაც? რა არის იმაში ცუდი, რომ პრეზიდენტს შეხვდნენ და გადადგომის მოთხოვნა წაუყენეს? რამე დააყენა ამით ოპოზიციას?

ნ.ს. - მოემბატა რამე?

ბ.ჯ. - ყოველ შემთხვევაში, არც არაფერი დააკლდა.

ნ.ს. - დააკლდა დედიკო, დააკლდა. იცი რა დააკლდა? ნდობა დააკლდა. მიმას რო შეხვდები აზრი არ აქვს ბრძოლას. მარა, მე მანც მგონია, რო ალასანია უნდა მოიცილონ და გაუყენონ თარგამაძის გზას.

ბ.ჯ. - "თარგამაძის გზა" რაღაც ახალია. რა გზაა ეგ?

ნ.ს. - რა და ლალატის და მლიქვნელობის გზაა და არ მითხრა ახლა შეურაცხყოფების გარეშეო.

ბ.ჯ. - რას იტყვით, რა უნდა გააკეთოს ოპოზიციამ? არ უნდა წავიდეს დათმობებზე? იქნებ ამ ეტაპზე ორივე მხარეს დაეთმო და უკვე შემდეგ, როდესაც ხელისუფლებას შეაუსტეტბდა აქტიური ბრძოლის ახალ ფაზაზე გადასულიყვნენ?

ნ.ს. - ვინ რას დაეთმობს დედიკო? არ იცი მიმა როგორია? მაგი რამის დათმობია? თუ დათმობს და ისე, თარგამაძეს რო მიცე პარლამენტში ადგილები. დასავს ისე თავის ხალხს თანამდებობებზე და ვითომ იტყვის ოპოზიციას ხელისუფლება გადაუნანილო. ვის მოატყუებს ეგ. ოცი წელია მიტინგებზე ვდგავართ ქართველი ხალხი.

ბ.ჯ. - თუმცა მინდა კრიტიკული ვიყო და ეს "ხალხი" ამ ხელისუფლებამ არაერთხელ მოატყუა. გამოდის, რომ შესაძლებელია მათი მოტყუება. არც ისეთი ჭკვიანები ვართ როგორც გავარკვიე, რომ სააკაშვილმა ჩვენი მოტყუება ვერ შეძლოს. ამიტომ, მე თქვენს მაგივრად ასე დარწმუნებით ვერ ვილაპარაკებდი.

ნ.ს. - თქვენი არ ვიცი და მე არ მოგტყუებულვარ არასდროს.

ბ.ჯ. - ძალიან კარგი, თუ ასეა, მაგრამ ვფიქრობ, რომ მიტინგი ნათლად გამოხატავს ხალხის აღმოფოთებას უფრო საკუთარი თავის მიმართ, ვიდრე ხელისუფლების მისამართით. ანუ, მოქალაქეები უფრო საკუთარ თავზე ვართ გაბრაზებულინი, რომ ამდენი შეცდომის დაშვების უფლება მივეცი ხელისუფლებას და ახლა ხომ არ ვიტყვით, ჩვენ გადავდგეთო?

ნ.ს. - არ ვიცი დედიკო შენ რას გულისხმობ, მაგრამ ხალხი ვერ გადადგება. ხალხი ვერ გადადგება, როგორც არ უნდა უნდოდეს ხელისუფლებას.

ბ.ჯ. - რას ფიქრობთ, როგორ განვითარდება მოვლენები? თქვენ როგორც საპროტესტო ელექტორატის აქტიური შიგთავსი (ახალი ტერმინი)?

ნ.ს. - მინდა გადავცე ვყვალას, ნუ გეშინიათ, ყველაფერი ისედაც ცუდად იქნება.

ვის ვინ უყვარს

კინოთეატრ "ამირანში" ვარსკვლავებით დახუნძლული ფილმი გამოვიდა

იხ ვაჰვა



მას შემდეგ, რაც თბილისი ორმაგ ბარიკადებში, სირცხვილის დერეფნებსა და საცობებით დატვირთულ ქუჩებში მოექცა, საზოგადოების ჩვეული ცხოვრების დიდი ნაწილი ნელ-ნელა უკანა პლანზე გადავიდა. თვეზე მეტია არ მუშაობს თბილისის ყველზე დიდი კინოთეატრი "რუსთაველი", რომელიც არა მხოლოდ იმის გამოა დაკეტილი, რომ ამ ტერიტორიაზე გადაადგილება შეუძლებელია, არამედ იმიტომაც, რომ მისი ფოიე მომიტინგეების მოსასვენებელ და სხვა მოთხოვნებების დასაკმაყოფილებლად ადგილად არ იქცევს. "რუსთაველის" მსგავსად არ დახურულა "ამირანი" და მიტინგებამდე რამდენიმე დღით ადრე გახსნილი "საქართველო", თუმცა პოლიტიკური ფონი მათ მუშაობასაც უქმნის პრობლემებს.

პრობლემას პირველ რიგში მაყურებლის დასწრება ქმნის - უფრო სწორად ის, რომ დარბაზებში ძალიან ცოტა მაყურებელია. კინომოყვარულების ნაწილს უბრალოდ ეშინია საზოგადოებრივად არასტაბილურ ქუჩებში გადაადგილება (როგორც იცით, "ამირანი" გადაკეტილი რუსთაველისა და კოსტავას ქუჩის შუაში მდებარეობს), ნაწილს ამის ხალისი აღარ აქვს, ზოგი კი უბრალოდ მიტინგებში მონაწილეობს. არსებობს კიდევ ერთი მიზეზი, კინოთეატრები ძნელად, პრაქტიკულად ვერ ასხერხებენ რეპერტუარის განახლებას და ძირითადად იმ ფილმების გაშვებით ავსებენ აფიშის ბაღებს, რომელთა ინტერნეტიდან გადმონერა და შინ, მშვიდ ვითარებაში ნახვა თავისუფლად შესაძლებელია. მიუხედავად ამისა, "ამირანში" საპრემიერო დღეებია. გამოვიდა რომანტიკული შინაარსის ფილმი "როდესაც მას არ უყვარხარ". ვიდრე თავად ფილმის შესახებ მოგიხსნათ, მანამდე აღვნიშნავთ, რომ ფილმი ამჯერად რუსულ ენაზე იქნება. ეს ბევრისთვის შესაძლებელია მიუღებელი იყოს, თუმცა კინომოყვარულები ნამდვილად იგრძნობენ შვეებას. როგორც

სულად გახმოვანებული ფილმები სანატრელი გავიხსენებ. როგორც გითხარით, ფილმი "როდესაც მას არ უყვარხარ" რომანტიკული ფანრის კომედიული უნდა უცნობი კენ ქუაპისია, რომლისთვისაც ეს პირველი ცნობილი ნამუშევარია, თუმცა მის ფილმოგრაფიაში "სასწრაფოს" სერიების ამოკითხვაც შეიძლება და კიდევ რამდენიმე ნაკლებად ცნობილი ფილმისაც. სამაგიეროდ ცნობილი არიან იმ წიგნის ავტორები, რომლის მიხედვითაც სცენარი შეიქმნა: გრეგ ბერენდტი და ლიზ ტუჩინი. სწორედ მათ კალამს ეკუთვნის ასე ცნობილი "სექსი და ქალაქი", რომლის მიხედვით გადაღებულ სერიალს და ფილმს მაყურებელი დიდი ხანია იცნობს და ზოგი აღმერთებს კიდევ. არანაკლებ საინტერესოა ფილმის დაკავებული სამსახიობო ანსამბლის ჩამონათვალიც: ვუდი ალენის ნებებია და ბოლო წლების კინოსიმბოლოდ შერაცხული სკარლეთ იოჰანსონი, რომანტიკული ფანრის ვარსკვლავი ჯენიფერ ენისტონი, "ოსკაროსანი" ჯენიფერ კონელი და ბენ აფლექი, თვის სტივენ სპილბერგის ნათული

დრიუ ბერიმორი, კომედიური ფანრის მსახიობი ჯასტინ ლონგი და ბებერი ლომი კრის კრისტოფერსონი. სწორედ ამ მსახიობების პერსონაჟების მონაწილეობით ვხვდებით ფილმში განვითარებული ისტორიების მოწმენი. "როდესაც მას არ უყვარხარ" გადაღებულია ცნობილი კინოხერხით, როდესაც სხვადასხვა ადამიანების ბუდი ირიბად თუ პირდაპირ ერთმანეთს უკავშირდება. მათი ასაკი 20-დან 30 წლამდეა და შესაბამისად განსხვავებული ცხოვრება და ინტერესები აქვთ. თუმცა საერთო მაინც აქვთ - ყველა ბალტიმორში ცხოვრობს და ყველა სიყვარულს ელოდება. ეს არ არის მხოლოდ სასიყვარულო შინაარსის ფილმი და საპირისპირო სექსის ურთიერთობების შესახებ მაყურებელი ბევრ რამეს გაიგებს. ფილმის გამოსვლის პარალელურად "ამირანში" გაიხსნა ახალგაზრდა ფოტოგრაფების გამოფენა-კონკურსი. გამოფენის შინაარსი საყვარელი ადამიანების პორტრეტებია. ასე რომ ფილმის სანახავად მისულებს, იმის გაგებაც შეეძლება, ვის ვინ უყვარს საქართველოში...

ახალი ფილმი სინატრას შესახებ



ცნობილი ამერიკელი რეჟისორი მარტინ სკორსეზე ლეგენდარულ მომღერალსა და კინომსახიობ ფრენკ სინატრაზე ფილმს გადაიღებს. ამ სიახლის შესახებ ინფორმაციას კინოსტუდია Universal Pictures ავრცელებს. როგორც სტუდიაში აღნიშნავენ, ეს იქნება ფრენკ სინატრას პირველი სრულმეტრაჟიანი ბიოგრაფია. ფილმი შემსრულებლის თვალსაჩინო შემოქმედებასა და პირად ცხოვრებას მიეძღვნება. ფრენსის ალბერტ სინატრა 1915 წლის 12 დეკემბერს ქალაქ ჰობოკენში (ნიუ ჯერსის შტატი) იტალიელი ემიგრანტების ოჯახში დაიბადა. პალერმოში დაბადებული მისი მამა - ბარმენი, მოკრივე და მეხანძრე იყო. ლუიშარტოში, გენუასთან ახლოს მდებარე ქალაქში კი მუსიკოსის დედა დაიბადა, რომელიც დემოკრატიული პარტიის სამოქალაქო კომიტეტის ხელმ-

დღვანელი იყო. სინატრა ბავშვობიდან მოხიბლული იყო მუსიკით. 13 წლის ფრენკმა უკვე ბარებსა და რესტორნებში დაიწყო სიმღერა. 50 წლის განმავლობაში აქტიური შემოქმედებითი საქმიანობის წყალობით სინატრამ 100 დისკზე მეტი ჩანერა და ათეულობით ფილმში მიიღო მონაწილეობა. თავისი სამსახიობო საქმიანობისთვის მან სამჯერ მიიღო ამერიკული კინოაკადემიის პრემია "ოსკარი" და დიდი რაოდენობით პრესტიჟული მუსიკალური პრემია "გრემი"-თ დაჯილდოვდა. ფილმისთვის სცენარს ფილმის აღმშენებელი რიხარდ უილიამსი დაწერდა, ხოლო მისი სახელწოდება - "სინატრა" იქნება. რობინსონის შექმნილია 1989 წელს გამოშვებული ფილმი "სასწაულის ველი", სადაც მთავარ როლს კევინ კოსტნერი ასრულებდა. თუ ვინ ითამაშებს ფრენკ სინატრას როლს ახალ ფილმში, ჯერ უცნობია. აღსანიშნავია, რომ 2000 წელს, როცა მარტინ სკორსეზემ ფილმ "დინო"-ს გადაღების განწყვეტილებას შესახებ განაცხადა, რომელსაც ასევე მომღერალსა და კინომსახიობს დინ მარტინს უძღვნიდა, ფრენკ სინატრას როლში იგი ჯონ ტრავოლტას მოიაზრებდა.



# "გედებით დავიწყე და ამით დავასრულე"

## პრიმა-ბალერინას დამშვიდობება ამერიკის ბალეტის თეატრთან

ილია თავზარიძე

18 მაისს, ნიუ იორკის მეტროპოლიტენ ოპერაში, გალაკონცერტით მორიგ საგაზაფხულო სეზონს ხსნის ამერიკის ბალეტის თეატრი (ABT). პრიმა-ბალერინა ნინო ანანიავილისთვის კი, რომელიც უკვე 16 წელია ამ თეატრის მიწვეული სოლისტია, ეს ბოლო სეზონი იქნება. გალაკონცერტზე იგი ალექსეი რატმანსკის მიერ, არამ ხაჩატურიანის ვალსზე (სპექტაკლიდან "მასკარადი"), მისთვის სპეციალურად დადგმული ახალი ნომრით წარსდგება. ანანიავილის გამოსამშვიდობებელ სპექტაკლებზე ბილეთები შარშან გაზაფხულიდან იყიდებოდა და ერთ-ერთი ძნელად საშოვი იყო ნიუ იორკში. ABT-ში განიცდიან ანანიავილთან გამომშვიდობებას. განიცდის კევენ მაკკენზი, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რომელიც 1993 წელს სპეციალურად ჩავიდა ლონდონში და მოლაპარაკებები გამართა პრიმა-ბალერინასთან.



- კევენ მაკკენზიმ გასულ წელს თბილისში ყოფნისას გაიხსენა ეს შეხვედრა: "მე მოვიხიბლე მისი ცეკვით და ვიკითხე, სად შეიძლება ვნახო რუსი ბალერინა გრძელი გვარით ა-ზე. მითხრა, რომ ასეთი ორია და როცა დავაკონკრეტე, განმობრტეს, რომ ეს რუსი კი არა, ქართველი ბალერინა ანანიავილი იყო"....

- მართალი ვითხრათ, ეს ისტორია არ მასოვს. არ ვიცი სად მნახა კევენმა პირველად. მაგრამ, როცა ის ABT-ს სათავეში მოვიდა, თეატრს ფინანსურად ძალიან უჭირდა. მან გადაწყვიტა დასისათვის ძველი დიდება დაებრუნებინა და სცენაზე მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავები მოეწვია. ამ დროს დაბრუნდა აქ ხულოლი ბოკა. ჯინჯერ მინგესმა, რომელიც თეატრის ერთ-ერთი დამფინანსებელია, კევენს უთხრა, რომ შეეძლო ჩემი კოორდინატები მიეცა. იმ დროს კოვენტ გარდენში "ფას-კუნჯს" ვცეკვავდი. კევინი სწორედ იქ ჩამოვიდა მოსალაპარაკებლად. ის სპექტაკლი სხვა მხრივაც "დასამასოვრებელი" აღმოჩნდა. კოვენტ გარდენში ხანძარი გაჩნდა და ყველანი გარეთ გამოვცვივდით. კევენმა მითხრა, რომ ფული არ გვაქვს, მაგრამ მინდა ჩამოხვიდე და იცეკვო. მეც დავთანხმდი. ვფიქრობდი ერთ-ორ სპექტაკლს ვიცეკვებდი და ამით დავასრულებდი. მას შემდეგ 18 წელი გავიდა. ამ თეატრში უკვე 16 სეზონი ვიცეკვე.

- და ამ 16 სეზონის განმავლობაში თქვენ გქონდათ უამრავი წარმატებული სპექტაკლი, ბედნიერი წუთები, ათასობით თავყვანის-მცემელი... და გაყვდათ უნიკალური პარტნიორები....

- მათ შორის ხულოლი ბოკას გამოვყოფ, რომელთანაც ყველაზე დიდ ხანს მომიხიდა სცენაზე პარტნიორობა. პირველი სპექტაკლი, რომელიც ABT-ში ვიცეკვე "გედების ტბა" იყო. ამ სპექტაკლთან სულ მოულოდნელობები და კურიოზები მაქვს ხოლმე. ეს შემთხვევაც არ იყო გამონაკლისი. პარტნიორი, ვისთანაც უნდა მეცეკვა, ავად გახდა, მეორემ კი ფეხი იტყინა... რუსეთიდან ვინმეს ჩამოყვანა მაშინ ასე ადვილი არ იყო. მაკკენზიმ შემომთავაზა, რომ ბოკასთან მეცადა. პირველად

ვერც წარმომედგინა, რომ შევძლებდით, რადგან მეგონა მასზე მაღალი ვიქნებოდი. პირველივე რეპეტიციებზე მომეხსნა მღელვარება. ხულოლი მითხრა, რომ შენ ყველაზე დაბალი ხარ იმ ბალერინებს შორის, ვისთანაც კი მიცეკვიაო. რეპეტიციისთვის სულ საათნახევარი გექონდა, ბოლომდე ვერც გავიარეთ. მესამე მოქმედების ფინალი საერთოდ იმპროვიზაციით ვიცეკვეთ. მაგრამ იგი იმდენად კარგი პარტნიორია, რომ თვალში მიყურებდა და უსიტყვოდ ხვდებოდა, რა უნდა გაგვეკეთებინა. მე მიყვარს, როცა ძლიერ პარტნიორთან ვცეკვავ. ეს სპექტაკლს სულ სხვა სახეს აძლევს. ბოკა ერთ-ერთი ასეთი გამორჩეული პარტნიორია, მათ შორის ვისთანაც საერთოდ მიცეკვია.

- მან თქვენზე ორი წლით ადრე დაასრულა საცეკვაო კარიერა და ბუენოს აირესში, გამოსამშვიდობებელ გალაკონცერტზე ღია ცის ქვეშ, რომელსაც მილიონობით ადამიანი დაესწრო, მიგინვიათ, რომ თქვენთან ერთად ეცეკვა შავი გედის ადაჟიო. მასხოვს, თქვენი დატვირთული გრაფიკის მიუხედავად როგორ გათხოვდათ, ჩასულიყავით არგენტინაში.

- ის ამავე დროს საოცარი ადამიანია, ძალიან ყურადღებიანი ჩემ მიმართ. 15 წელი ვიცეკვეთ ერთად. სულ ემოციური და ექსპრესიული სპექტაკლები გექონდა. სცენაზე რაც არ უნდა მომხდარიყო, ვიცოდით, რომ პრობლემა არ გვექნებოდა. ABT-ში საკმაოდ დატვირთული გრაფიკია, რთული ტემპია. ორი კვირის განმავლობაში, 8 სპექტაკლს ვცეკვავდით, აქედან ორ დღეს რეპერტუარი. ერთხელ ხულოლის, სამი დღის განმავლობაში, ზედიზედ მოუწია "კორსარი" ცეკვა და სამივე სპექტაკლი სხვადასხვა პარტნიორთან. მე მაშინ ლოს ანჯელესში ვიყავი დიდ თეატრთან ერთად, დიდი ჩავფრინდი ნიუ იორკში და სალამოს მასთან ვიცეკვე სპექტაკლი და საერთოდ არ ვვლავდი. იშვიათად არიან ასეთი პარტნიორები.

- თებერვალში ამერიკის ბალეტის თეატრს გასტროლები ჰქონდა ვაშინგტონში და აქაც თქვენი ბოლო გამოსვლა "გედების ტბაში" ამერიკული პრესის ყურადღების ცენტრში მოექცა: "პროლოგში მისმა გამოჩენამ ენთუზიაზმით აღსავსე ოვაცია გამოიწვია და ამ მომენტიდან დაწყებული, მთელი საღამოს განმავლობაში, ამაღლებული განწყობა არ ჩამცხრალა" - წერდა "ვაშინგტონ პოსტი". ეს სპექტაკლი ხოსე მანუელ კარენიოსთან იცეკვეთ. ამჯერადაც ის იქნება თქვენი პარტნიორი?

- არა მარტო ხოსე მანუელ კარენიო. სპექტაკლებს ვიცეკვებ ანხელ კორელასთან, მარსელო გომესთან და დიმიტრი ბელოცერკოვსკისთან ერთად. სულ რვა სპექტაკლი ვიცეკვებ - "კორსარი", "სილფიდა" და "გედების ტბა". პროგრამაში ასევე მაქვს ბალანჩინის "მოცარტიანა".

- ამერიკაში, თან ნიუ იორკში, ბალანჩინის ბალეტების ცეკვა, ალბათ, საკმაოდ რთულია.

- რა თქმა უნდა. როცა სიუზან ფარელმა "მოცარტიანა" დიდ თეატრში, შემდეგ ვაშინგტონში მიგვიწვია, ბალანჩინის ფესტივალზე. ეს საზღვარგარეთ დიდი თეატრის მიერ ბალანჩინის ბალეტების პირველი შესრულება იყო. ჩვენს პასუხისმგებლობას ისიც აძლიერებდა, რომ ფესტივალს ესწრებოდნენ ედვარდ ვილელა და არტურ მიტჩელი თავიანთ დასებთან ერთად. ნიუ იორკიდან ბალანჩინის სხვა მოცეკვავებებიც ჩამოვიდნენ... იმდენად კარგად ვიცეკვეთ, რომ სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა. ტექსტი არ შეგვიცვლია, რასაც ასე გვთხოვდა სიუზან ფარელი. ჩვენი ემოცია, ჩვენი სტილი ვაჩვენეთ და დავანახეთ, რომ რუსული საბალეტო სკოლის აღზრდილებსაც შეუძლიათ ბალანჩინის ტექნიკის შესრულება.

- ერთ პუბლიკაციაში წავიკითხე, ვილელამ ამ სპექტაკლის შემდეგ ვითხრა, ბალანჩინი ცოცხალი რომ ყოფილიყო ხელიდან არ გაგიშვებდათო.

- ბევრი კომპლიმენტი მივიღე.

არტურ მიტჩელმა ქუჩაში გამაჩერა და ბევრი მესაუბრა. შემდეგ ნიუ იორკში ვიყავით გასტროლზე და დიდ თეატრს აქაც დიდი წარმატება ხვდა წილად. წარმოვადგინეთ ბალანჩინის ბალეტების ის პროგრამა, რომელიც დიდ თეატრში დაიდგა. ABT-ში ვცეკვავდი ბალანჩინის Symphony in C და ჩემს ერთ-ერთ ბოლო სიყვარულს, დიდი სილამაზისა და განცდის ბალეტს - Balle imperial-ს, რომელიც ჩაიკოვსკის მეორე საფორტეპიანო კონცერტზე დადგმული. ეს ბალეტი მართლაც დიდ სიამოვნებას მანიჭებს. ამის მიუხედავად ბალანჩინის შესრულება საერთოდ დიდ შრომას, უზადო ტექნიკას და დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს.

- თქვენ პერიოდულად ცეკვავთ თბილისში, ახლახან მონაწილეობა მიიღეთ რატმანსკის გალაკონცერტშიც, დიდ თეატრში. ევროპაში იგეგმება თქვენი გალაკონცერტები. რატომ გადაწყვიტეთ დატოვოთ ABT?

- მართლაც ძალიან დაკავებული ვარ. ყოველ წასვლას ახლავს დიდი ნერვიულობა. თბილისში მონყვეტილი ვარ საქმეებს, ოჯახს. არც იმდენი დროით ჩავდივარ ნიუ იორკში, რომ ახალ სპექტაკლებზე ვიმუშაო. ადრე ამის საშუალება მქონდა, წელიწადში ორჯერ ჩავდიოდი, ვმუშაობდი საინტერესო ქორეოგრაფებთან. ალბათ ყველაფერს თავისი დრო აქვს. იქ ძალიან განიცდიან ამას. მეც გული მწყდება. სიტყვით მიჭირს იმის გადმოცემა, ვერ გამოვხატავ, ვერ მოგიყვებით იმ გრძნობის შესახებ, რომელიც თითოეული სპექტაკლის შემდეგ მეუფლება, როცა მეტროპოლიტენ ოპერაში 4000 მაყურებელი ერთბაშად დაიყვირებს და ტაშს დაგიკრავს. სცენაზე პირველი გამორჩენისთანავე დიდ ემოციას და მაყურებლის გულთბილ სიყვარულს ვგრძნობ. მყავს უამრავი თავყვანისმცემელი, რომლებიც სპეციალურად ჩამოდიან ნიუ იორკში სპექტაკლებზე. ბევრ მათგანთან ვმეგობრობ კიდევ. მეც ვცდილობ სიამოვნება მივანიჭო და ლამაზი

სპექტაკლები ვაჩუქო მათ. ამ 16 სეზონის განმავლობაში ბევრი საინტერესო ისტორია მახსენდება. ერთ-ერთი სეზონის გახსნაზე გალაკონცერტზე "მომაკვდავი გედი" ვიცეკვე. ისეთი რეაქცია ჰქონდა მაყურებელს, რომ კარგა ხნის განმავლობაში შემდეგი ნომრის დაწყება შეუძლებელი გახდა. ასევე დაუფინყარია ჩემთვის ერთ-ერთი გალა, სადაც დიდ კიხობის პა დე დე ხულიო ბოკასთან რალაც ორიგინალურად, იუმორის სტილში შევასრულეთ. ერთმანეთს სამი ბალერინა ვეჯობებოდით, რომ პარტნიორთან ცეკვის უფლება მიგველო, შემდეგ თავად ბოკას ვარიაციის შესრულება დავინყე მე და ორმაგი ასამბლეები გავაკეთე. ეს ხულოლისთვისაც მოულოდნელი იყო და მაყურებელშიც დიდი ემოცია გამოიწვია. ასეთი დღეები ბევრი მქონდა. ადამიანის ცხოვრებაც ხომ ეს არის. ყველაფერი წავა, მაგრამ დარჩება ამ დღეების მოგონება, ასეთ ადამიანებთან ურთიერთობის სითბო, რომელიც ძალიან დიდხანს მიგყვება.

- თეატრს დიდი და მრავალფეროვანი რეპერტუარი აქვს. კლასიკური ბალეტების გარდა თქვენ მუშაობდით თანამედროვე ქორეოგრაფებთანაც...

- კლასიკურ სპექტაკლებში ვცდილობ ვარიაციები შევინარჩუნო ისე, როგორც ჩემს პედაგოგთან, რაისა სტრუჩკოვასთან, მაქვს მოზადებული. კლასიკური ბალეტების რედაქციები თითქმის არც ერთ თეატრში არ გავს ერთმანეთს. ის, რაც ახლა ABT-ს რეპერტუარშია ძირითადად კევენ მაკკენზის ეკუთვნის, არის ბევრი ცვლილება მიზანსცენებში, მაგრამ სასიამოვნო შესასრულებელია. "კორსარი" იქ ვიცეკვე პირველად. კლასიკის გარდა, საშუალება მქონდა მემუშავა საინტერესო ქორეოგრაფებთან. მარკ მორისმა სპეციალურად დადგა ბალეტი Gong, რომელიც ხუთი სოლისტი ვცეკვავდით და კლასიკისაგან აბსოლუტურად განსხვავებული მოძრაობებით ვცეკვნი. ვმუშაობდი ენტონი ტიუდორთან. რეპერტუარი ყოველთვის საინტერესო მქონდა და ძალიან გამომართლა პედაგოგ-რეპეტიტორებში. ბედნიერი ვარ, რომ იქ მოღვაწეობს ირინა კოლპაკოვა, რომელთანაც პირველი დღეებიდანვე მომიხიდა მუშაობა. ის დიდი და არაჩვეულებრივი ადამიანია.

- სამომავლოდ რომელიმე სხვა თეატრთან ხომ არ აპირებთ თანამშრომლობას, როგორც მინვეულის სოლისტი?

- სამომავლოდ ბევრი პროექტის განხორციელებას ვაპირებ. რომელიმე კონკრეტულ თეატრთან მუდმივი თანამშრომლობა გადაწყვეტილი არ მაქვს. ალბათ უფრო გალაკონცერტების ორგანიზება მომიწევს. სპექტებში უკვე იგეგმება ასეთი პროექტი. თებერვალსა და მარტში იაპონიაში დაგეგმილია ჩვენი დასის გასტროლები, სადაც მეც მივიღებ მონაწილეობას.

- ბოლო სპექტაკლს ABT-ში ალბათ, განსაკუთრებული სევა ექნება. რით გადაწყვიტეთ დაასრულოთ საცეკვაო კარიერა ამერიკაში?

- "გედების ტბა" ჩემს კარიერაში მნიშვნელოვანი სპექტაკლია. ამ სპექტაკლით დავინყე დიდ თეატრში გამოსვლა. ABT-შიც ეს იყო ჩემი პირველი სპექტაკლი და გადავწყვიტე, 27 ივნისს, "გედების ტბით" დავხურო ჩემი ბოლო სეზონი ამერიკაში.

# სპორტი

## მხოლოდ მისამ ადგილი

საქართველოს მორაგბეთა შვიდკაცა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურისთვის იბრძვის. იმისთვის, რომ ჩვენმა გუნდმა ამის უფლება მოიპოვოს, საჭიროა საკმარისი რაოდენობის ქულების დაგროვება.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი ექვს ეტაპად ტარდება. თითოეულ ნაკრებს ორ ეტაპში ეძლევა მონაწილეობის უფლება და ამ ეტაპებზე დაკავებული ადგილების მიხედვით ერიცხება ქულები. ასე გაირკვევა იმ 12 გუნდის ვინაობა, რომლებიც ევროპის ჩემპიონატში მიიღებენ მონაწილეობას.

საქართველოს შვიდკაცა ნაკრებმა ერთ ეტაპზე ასპარეზობა უკვე დაასრულა. პოლონურ ქალაქ სოპოტში გამართულ შვიდკაცაზე ქართველები მესამე ადგილზე გავიდნენ, რაც, რა თქმა უნდა, ურიგო შედეგი არ არის, თუმცა ჩვენ უფრო მეტს ველოდით.

საქმე ის არის, რომ პოლონური ეტაპის პირველ დღეს ქართველებმა, ერთის გარდა, ყველა მატჩი მოიგეს. სწორედ იმ ერთმა მარცხმა განაპირობა ის, რომ ტურნირის მეორე დღეს ჩვენი ბიჭები ნახევარფინალში

ეტაპის ფავორიტს, ევროპის ჩემპიონს - პორტუგალიის ნაკრებს შეხვდნენ და ფინალში ვერ გავიდნენ.

პირველ დღეს ჩვენებურებმა პოლონეთის ნაკრებთან წააგეს - 24:26. სწორედ ეს მატჩი გამოდგა მათთვის საბედისწერო, თორემ სოპოტში მეორე ადგილის დაკავებაც შეეძლოთ, რაც, ცხადია, მეტ ქულას მოუტანდა.

რაც შეეხება ტურნირის მეორე დღეს, როგორც მოსალოდნელი იყო, ქართველებმა სამიდან ორი მატჩი მოიგეს.

ნახევარფინალში მოსახვედრად კახა ალანისა შევიდნენ დანიის ნაკრების დამარცხება სჭირდებოდათ, რაც ძალიან იოლად მოხერხდა. საქართველოს შვიდკაცა ნაკრებმა საქმე პირველივე ტაიმში მოაგვარა - 19:0 მოიგო. საბოლოოდ ქართველებმა 24:0 დაამარცხეს მეტოქე.

ამის შემდეგ პორტუგალიის ნაკრების წინააღმდეგ გახდა საჭირო თამაში. ევროპის ჩემპიონმა პოლონურ ეტაპზე ყველა მატჩი იოლად მოიგო. მართალია, პორტუგალიელებმა ქართველებთან ვერ გაილაღეს, მაგრამ მიზანს მაინც მიაღწიეს - "ბორჯღალოსნები" 22:7 დაა-

მარცხეს და ფინალში გავიდნენ, ალანისა გუნდი კი მესამე ადგილისთვის სათამაშოდ გამსწესეს.

მესამე ადგილისთვის მატჩში ქართველებმა შედეგის ნაკრები 19:5 დაამარცხეს და ჩათვლაში 14 ქულა ჩაინერეს.

როგორც მოსალოდნელი იყო, სოპოტში პირველობა მოიპოვა პორტუგალიის ნაკრებმა, რომელმაც ფინალურ მატჩში პოლონეთს 57:14 სძლია.

მომდევნო, გადამწყვეტ ეტაპს საქართველოს შვიდკაცა ნაკრები 6-7 ივნისს ოდესაში გამართავს. იმისთვის, რომ ჩვენმა გუნდმა ევროპის ჩემპიონატის საგზური მოიპოვოს, აუცილებელია ოდესურ ეტაპზე ოთხეულში მოხვედრა ანუ ნახევარფინალში გასვლა. ოდესაში საქართველოს ნაკრები A ჯგუფში ითამაშებს. მისი მეტოქეები იქნებიან რუმინეთის, პოლონეთის, საბერძნეთის და შვეიცარიის ნაკრებები. B ჯგუფში კი უკრაინა, რუსეთი, შვედეთი, მოლდოვა და ბულგარეთი ითამაშებენ.

მანამდე კი ჩვენს გუნდს ორი მნიშვნელოვანი ტურნირი ელის. გასული წლის ევროპის ჩემპიონატზე ჩაჩვენები შედეგებიდან გამომდინარე, საქარ-

თველოს შვიდკაცა ნაკრებმა მსოფლიო სერიაზე თამაშის უფლება მოიპოვა. "ბორჯღალოსნებმა" ორ ეტაპზე - დუბაისა და სამხრეთ აფრიკაში ითამაშეს, ახლა კი ლონდონისა და ედინბურგის ეტაპები ელით.

ალანისა შევიდნენ პოლონეთიდან ინგლისში გაემგზავრებიან, სადაც B ჯგუფში ინგლისის, სამოასა და საფრანგეთის ნაკრებებთან მოუწევთ რკენა. ჯგუფური ეტაპის მატჩები 23 მაისს გაიმართება, 24 მაისი კი პლეი-ოფებისა და ფინალის დღეა.

ერთი კვირის შემდეგ ჩვენი ბიჭები ენვევიან ედინბურგს, სადაც D ჯგუფში არგენტინის, სამოასა და უელსის ნაკრებებს გაეჯიბრებიან, მეორე დღეს კი პლეი-ოფებისა და ფინალის დრო დადგება.

ინგლისსა და შოტლანდიაში ალანისა გუნდი სოლიდური შემადგენლობით ჩავა. მართალია, უძლიერესი შემადგენლობით ჩვენი ნაკრები ვერც ამჯერად ითამაშებს, მაგრამ პოლონური ეტაპის შემდეგ გუნდს ალექსანდრე ტუჩაშვილი, გიორგი კალმახელიძე, ვიტო კოლელიშვილი, ლექსო გუგავა და ვახტანგ ბერძენიშვილი დაემატებიან.



დავით კოჭირიძის სკეჩი

## ძილობი

- ალო, სერ, თქვენ ბრძანდებით?
- დიახ.
- გამარჯობა, პეპი ვარ.
- გრძელნიდნა?
- არა, გვარდიოლა. ხოსეკ გვარდიოლა. ის გვარდიოლა, რომელიც 27 მაისს სიურპრიზს შემოგთავაზებთ.
- მაშაყირებ, კარლსონ?
- როგორ გეკადრებთ. შაყირი რა მოსატანია თქვენწაირ დამსახურებულ და მსცოდინ კაცთან, თან რაინდთან. უბრალოდ, წინასწარ მინდა იცოდეთ, რომ ლიგა ჩემია!
- აბა, ობოლადისაა?
- ეგ ვინაა?
- ეგ ისაა, 27 მაისს ქართველებს რომ ეტყვის, მანჩესტერელებმა ლიგა ზედიზედ ორჯერ მოიგეს, რაც აქამდე არავის უქნიაო.
- ხოხ!
- რა მეგრულად თქვი. ეს კატალონიელები სუფთა მეგრელები ხართ (ხარხარებს).
- ფრთხილად იყავით, ეგ "უფუჩკა" ყელზე არ დაგადგეთ. ისე, რომელს ლეჭავთ? ბრონეულის "ორბიტს"? არა, ეგ არ გეცოდინებათ, ახალია. ალბათ "დონალდოს" ან "სუპერბაზუკას". ერთი ვედრო "პედრო" მაქვს საბითუმო ფსეხში, არ გინდათ?
- ახალგაზრდავ, თქვენთან ლაზლანდარობის დრო არ მაქვს.
- ააა, ტაქტიკაზე მუშაობთ, სერ? ერთი მეგობრული რჩევა ჩემგან - ტყუილად ნუ წვლობთ, დედამისის ზურგზე არ არსებობს სქემა, რომელიც "ბარსელონას" გააჩეჩებს.
- ისა, პეპ, გენაცვალე, დაცვაში ვის აყენებ? ჩემმა აგენტებმა მითხრეს, "კამპ ნოუს" დარაჯი მაგრა ყომარობს უკანო, ხისტიანო, მოედანს კარგად ხედავსო (კვლავ ხარხარებს).
- ჯი სუნი როგორაა? მიირთვა დილით ბრინჯი? და მადიურელი პიჟონი? ფოტოსესია დაუთმავრდა? გიგზს და ვან დერ სარს "ბილობილი" ხო არ გაუთავდათ?
- ერთი შენი სახე მანახა, ვან დერ სარი ჯი სუნს რომ მისცემს პასს, ის გიგზს რო მოძებნის და გიგზის პასის მერე რონალდო მაგ ცანცარა ვაღდესს თავკონტროლს რო დააკარგინებს სამუდამოდ (კისკისებს).
- რალა ცალიან ბევრს იცინით, რაინდო, რამე არ გეწყინოთ მომავალი ოთხშაბათისთვის. რაც შეეხება თქვენს მიერ დახატულ ფანტაზიებს, გპირდებით, რომ რომში რონალდო ზუსტად ისე ითამაშებს, როგორც სალომეა ზურაბიშვილი მღერის.
- ეგ ვინაა?
- გუბაზის თანამებრძოლი.
- გრანდიოზული გუბაზის?
- სწორედ რომ.
- ადრე ცხენი მყავდა, თუ გახსოვთ, "გიბრალტარის კლდე" ერქვა და დიდი ფული მაშოვნინა დოლებზე. ჰოდა, მაგ გრანდიოზულმა მომიკლა, შემოახტა და გაჭყლიტა. თან ჩემთვის უცხო ენაზე ყვიროდა რალაცას. მგონი, ისტორიულად, ქართული ტაიჭი საუკეთესო იყო თუ რალაც მაგადაგვარი. მაგის მერე ვერ ვიტან რუსთაველი ავენიუს.
- მალე "სტადიო ოლიმპიკოც" შეგზიზღდებათ. ამას გპირდებით მე, ინიესტა, ხავი, მესი და ეტო ო.
- საიდან ამდენი ამბიცია, ჩემო ნორჩო კოლეგავ? თქვენ რომ მოედანზე დატანტალებდით, მე ტიტულს ტიტულზე ვიგებდი, თქვენ რომ პირადობის მონაწილე ილიეთ, მე, შოტლანდიელ კაცს, ინგლისის დედოფალმა რაინდის წოდება მიბოძა. და, საერთოდ, თქვენ რომ მოდიოდით, მე უკვე მივდიოდი.
- მოდი რა, საქმე ლაპარაკის ნაცვლად.
- მოდი.
- რომში შეხვედრამდე.
- არივედერჩი!
- სულ კარგად ბრძანდებოდეთ!
- მთავარია არ ჩამოიშალოთ.
- ჩვენ ვერავინ დაგვანოქებს! ჩვენ ნებისმიერ გამონკვევს გადავალავთ! ჩვენ 27 მაისს ალექს ფერგიუსონს გავათავებთ! ვივა კატალუნია!
- პაცან!
- მომავალ სამშაბათამდე

## გეორ-გია რომთან თანაზიარია

გიგა გარასაგვილი

ქართველმა ბრაზილიელებმა რენატო გომეშმა და ჟორჟ ტერშეირომ (ჩვენთვის კი გეორ-გია) მიმდინარე მსოფლიო ტურის ვათამაშებში საუკეთესო შედეგს მიაღწიეს. რომში (Foro Italico Open), საგანგებოდ დაყრილ ქვიშაზე, ქართველმა ბრაზილიელებმა, მასპინძელთა წყვილთან ერთად, მეხუთე ადგილი გაიყვეს.

პლაჟის ფრენბურთელთა რომაული ტური, რომლის საპრიზო ფონდი 190 ათასი დოლარი იყო, გეორ-გიასთვის სარეიტინგო ქულებითაც ხვავიანი გამოდგა - 360 სარეიტინგო ქულასთან ერთად, საპრიზო ფონდიდან 9 100 დოლარიც ერგოთ. იმის გათვალისწინებით, რომ მათი შემოსავლის ძირითადი წყარო ამგვარ ტურნირებზე აღებული თანხაა, ეს უმნიშვნელო გასამრჯელო არ უნდა იყოს.

ტურნირის პირველ დღეს 23-ე ნომრად განთესილმა გეორ-გიამ ჯერ იტალიელებს სძლია, მერე გერმანულ ტანდემს აჯობა, პირველი მარცხი კი პარასკევს რეიტინგის მეორე ნომრებთან ბრაზილიელებთან განიცადეს - 0:2 (18:21, 16:21).

ბრაზილიელებთან წაგებას მე-12 ნომრად განთესილი შვეიცარიელების დამარცხება 2:0 - (21:16, 21:15) მოჰყვა.

მომდევნო დღეს (შაბათს) გეორ-გიამ მერვე ნომრად განთე-



ქართველმა ბრაზილიელებმა გეორ (მარცხნივ) გიამ რომაულ ტურზე იტალიელებთან მეხუთე ადგილი გაიყვეს

სილი გერმანელები (ერდმანი-ვინსები) ორ სეტში დაამარცხეს - 21:16, 23:21. მეოთხედღე-ნაღლი გერმანელებისგანვე (მომავალი გამარჯვებულებისგან) ბრინკი-რეკერმანის (4) ტანდემისგან ინგლის მარცხი - 0:2 (18:21, 18:21). ცნობისთვის, გერ-

მანელებმა ნახევარფინალში ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი, ბრაზილიური დუეტი ემანუელ რეგო და რიკარდო სანტოსი (3) დაამარცხა.

რომაული ტურნირი მეორე ადგილზე დაასრულა კუნა-პედროს (2) ბრაზილიურმა წყვილმა. მესამეზეც ბრაზილიელების ჰარლი-ალისონის (1)

ტანდემია. თვის ბოლოს მსოფლიო თასის მისლოციე (პოლონეთი) უმასპინძლებს. 19-24 მაისს კი ქალების ჯერი დადგება. მათი ტურნირი ოსაკაში ჩატარდება. ჩვენთვის მნიშვნელოვანი ის არის, რომ იქ საქართველო იასპარეზებს.

**ფრონტიცი დაითხოვეს**

შაბათს დორტმუნდის "ბორუსიასთან" სტუმრად განცდილი მარცხის შემდეგ ბილფელდის "არმინიამ", რომელიც ბოლოდან მესამე ადგილზეა, მწვრთნელ მიხაელ ფრონტიცეს თანამდებობა დაატოვებინა.

სეზონის ბოლომდე დარჩენილი კვირის განმავლობაში ფრონტიცეს, სავარაუდოდ, შეცვლის კლუბის სპორტული დირექტორი დეტლეფ დამმაიერი, რომელსაც დროებითი მწვრთნელობა ადრეც გაუწევია - 2008 წლის დამლეფს, როცა "არმინიამ" ასევე "დორტმუნდთან" 1:6 მარცხის შემდეგ მაშინდელი მწვრთნელი ერნსტ მიდენდორში გაათავისუფლა.

ახალი მწვრთნელის საკითხს კლუბი ზაფხულში გადაწყვეტს - ან ისევ ბუნდესლიგაში დარჩენილი (რაც საეჭვოა), ან - მეორე ლიგაში დაქვეითებული.

**ანჩელოტი ვითარებაში გარკვევას აპირებს**

ბოლო ხანს არაერთი ინფორმაცია გავრცელდა იმის თაობაზე, რომ კარლო ანჩელოტი "მილანს" დატოვებს და მომავალი სეზონიდან "ჩელსის" უხელმძღვანელებს. თუმცა, როგორც ჩანს, ყველაფერი ბოლომდე არ არის გადაწყვეტილი. "მილანის" მწვრთნელს კლუბის დატოვება არ სურს, თუმცა, თუ კლუბის ხელმძღვანელობა მის გაშვებას გადაწყვეტს, სხვა გზა არ ექნება და "ჩელსიში" გადავა.

"მე "მილანში" დარჩენა მინდა. "ჩელსიში", სადაც ჩემი გადასვლა უნდათ, წასვლას არ ვაპირებ. მინდა დავრჩე იქ, სადაც საჭირო ვარ, მაგრამ თუ გუნდში ჩემი ყოფნა არ უნდათ, წავალ. როგორც ამბობენ, ხელმძღვანელობის წინააღმდეგ წასვლა არ შეიძლება. ამიტომ მინდა ბერლუსკონის შევხვედე და მასთან ყველაფერი განვიხილო, რის შემდეგაც გარკვეული დასკვნების გამოტანა შემეძლება. ჯერჯერობით არ ვიცი, სად დავიწყებ შემდეგ სეზონს. ახლა მხოლოდ "მილანის" უახლოეს მატჩზე ვარ კონცენტრირებული", - აღნიშნა ანჩელოტი.

**მაკედონიის ნაკრებს იონუზი უხელმძღვანელებს**

მაკედონიის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად ამავ ევეყნის ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი თავაკაცი მირსად იონუზი დაინიშნა.

როგორც უეფას ოფიციალური საიტი იტყობინება, იონუზთან კონტრაქტი გათვლილია 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ბოლომდე, ორი წლით გაგრძელების პერსპექტივით.

სააგენტო Reuters-მა გაავრცელა მაკედონიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ხარალამპე ხადზირისტეცკისა და იონუზის კომენტარები. ხადზირისტეცკის თქმით, იონუზი ერთადერთი კანდიდატი იყო, რომლისთვისაც ხელშეკრულების ვადა მისაღები აღმოჩნდა. ახლად დანიშნულმა მწვრთნელმა კი აღნიშნა, რომ გუნდის შემადგენლობაში კარდინალურ ცვლილებებს არ გეგმავს, თუმცა, მაკედონიას უკეთესად თამაში შეუძლია და ამის განსახორციელებლად რამდენიმე გადაადგილებას მანაც მოახდენს.

მაკედონიის ნაკრები აპრილში დატოვდა სრეჩკო კატანეცმა.

**ვან გაალმა არველაძე გერმანიაში არ წაიყვანა**

ჰოლანდიის "ალკმარის" მთავარი მწვრთნელი - ლუის ვან გაალი უკვე ოფიციალურად გადავიდა "ბაიერნში" და "დოიჩმასტერის" მთავარი მწვრთნელი გახდა, თუმცა, ბევრის გასაკვირად, ჰოლანდიელმა სპეციალისტმა თავისი თანაშემწე შოთა არველაძე თან არ წაიყვანა.

ამის მიზეზებზე არც ვან გაალი და არც არველაძე არ საუბრობენ. შოთა არველაძე ამბობს, რომ მას "ალკმართან" კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს და ამ ხნის განმავლობაში ნიდერლანდულ კლუბში დარჩება. "ბაიერნში" გადასვლით ახალბედა ქართველ მწვრთნელს ფართო ასპარეზი ეშლება, მაგრამ ეს პერსპექტივა არარეალური აღმოჩნდა.

**იაზვილის გოლმა "კარლსრუეს" ხანსი შეუნარჩუნა**



იაზვილმა "ვერდერს" გაუტანა გოლი

გასული უქმეები წარმატებული გამოდგა ქართული საფეხბურთო ლეგიონისტების. ალექსანდრე იაზვილმა თავისი გოლით "კარლსრუეს" ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნების შანსი დაუტოვა, ჯაკობიამ უკრაინაში გაიტანა, ხიზანიშვილი "ბლექბერნის" შემადგენლობაში გამოჩნდა, აზერბაიჯანში კი ქართველთა "ბაკიმ" ჩემპიონის ტიტული მოიგო. ასე რომ, მივყვით თანამიმდევრობით და, როგორც ყოველთვის, საუკეთესო ხუთეულით დავინწყით.

ბუნდესლიგის გათამაშების ბოლოსწინა ტურში "კარლსრუე" "ბრემენში" "ვერდერს" შეხვდა და 3:1 გაიმარჯვა. იაზვილმა 90 წუთი ითამაშა და გოლიც გაიტანა. ეს მოხდა მატჩის 55-ე წუთზე. ამ დროს "კარლსრუე" 2:0 იგებდა. "იაზკამ" მექტოქის საჯარიმოში მიიღო ბურთი, ერთი შეხებით დაამუშავა და ზუსტი დარტყმით აიღო "მუსიკოსების" კარი.

კობიაშვილისა და ყენიას "შალკე" ამ ტურამდე ჩემპიონობისთვის მებრძოლ ბერლინის "ჰერტას" ეწვია და დედაქალაქელთა საჩემპიონო ამბიციები უგოლო ფრით დაასამარა. უმოტივაციოდ დარჩენილი "შალკეს" ძირითად შემადგენლობაში ითამაშა კობიაშვილმა და მოედანზე მთელი 90 წუთი დაჰყო, ყენია კი სათადარიგოთა სკამიდან არ წამოდგარა.

მეორე ბუნდესლიგის ბოლოსწინა, 33-ე ტურში "ფრაიბურგმა", რომელსაც ელიტაში ადგილი განაღებულ აქვს, "ოპენჰაუზთან" გასვლითი მატჩი 0:1 წააგო. სტუმართა ქართველი ნახევარმცველი დავით თარგამაძე 61-ე წუთზე გავიდა მინდორზე.

"აუგსბურგისა" და "ვეინის" შეხვედრა ფრედ - 1:1 დასრულდა. ოთარ ხიზანიშვილი 72-ე წუთზე შევიდა მოედანზე, ვეინელთა ქართველ ნახევარმცველს ლევან ციტიშვილს კი არ

უთამაშა. ასეთივე ანგარიშით დასრულდა მათე ლეინიანის "მიუნხენ 1860"-სა და აახენის "ალემანისას" მატჩში. ქართველი მცველი ბავარიელთა განაცხადში არ ყოფილა.

ინგლისურ პრემიერლიგაში, რომელშიც თითქმის ყველაფერი გაირკვა, ჩვენთვის სასიამოვნო ის არის, რომ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მოედანზე გამოჩნდა ზურაბ ხიზანიშვილი. "ბლექბერნისა" და "ჩელსის" მატჩში, რომელიც "არისტოკრატებმა" 2:0 მოიგეს, "ხიზანამ" მეორე ტაიმი სრულად ითამაშა და მსაჯისგან ყვეთელი ბრათიც მიიღო.

იტალიის ჩემპიონატის მორიგე ტურმა ქართველთა გარეშე ჩაიარა. მჭედლიშვილის "პალერმომ" "ლაციო" დაამარცხა, კალაძის "მილანი" კი უდიდესი დამარცხდა.

უკრაინის ჩემპიონატის (რომელშიც ასათიანის "დინამო" უკვე ჩემპიონია) გასულ ტურში ჯაკობიამ გოლით დაგვამახსოვრა თავი.

საკუთარ მოედანზე მოთამაშე, უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის მებრძოლმა ლაშა ჯაკობიას დედაქალაქურმა "არსენალმა" ზაპოროჟიის "მეტალურგი" 2:0 დაამარცხა. ამაში თავისი წვლილი შეიტანა ქართველმა ფეხბურთელმა, რომელმაც 32-ე წუთზე, მარცხენა ფლანგიდან შეტევისას, ძლიერად დაარტყა სტუმართა კარში. ანგარიში 2:0 გახდა.

გურულის "კარპატი" კი მასპინძლობდა გაჩემპიონებულ "დინამოს", რომელიც ლევან "ასკას" გარეშე ეწვია. გურული 62-ე წუთზე შევიდა მოედანზე, მაგრამ ბევრი არაფერი გაუკეთებია. თამაში კი ჩემპიონმა მოიგო - 4:1.

გიორგი ციმაკურიძის "ზარიას" მეტოქე დონეცკის "შახტარი" იყო. ლუგანსკში გამართული მატჩი სტუმართა დამაჯერებელი გამარჯვებით - 3:0

დასრულდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ციმაკურიძის გუნდის დაქვეითება თეორიულად ისევ შესაძლებელია, მაგრამ მანაც ნაკლებად სავარაუდოა. ქართველმა მცველმა მატჩი სრულად ჩაატარა და თავი არაფრით გამოუჩენია.

ირაკლი მოდებაძის "ჩერნომორცი" საკუთარ მოედანზე "მეტალისტს" მასპინძლობდა და, გამარჯვების (1:0) შედეგად, უმაღლესში დარჩენა გაინაღდა. ქართველი მცველი 83-ე წუთზე გამოჩნდა მოედანზე.

კობახიძის, კანკავას და გოციორიძის გარეშე ეწვია კრივიროგს "დნიპრო", რომელმაც ადგილობრივი "კრივბასი" 1:0 დაამარცხა და იმის გამო, რომ მეხუთე ადგილზე მყოფი მასზე ნინ მყოფ "მეტალურგს" სამი ქულით ჩამორჩება, ევროპის ლიგაზე გასვლის შანსს ინარჩუნებს.

რუსეთის ჩემპიონატში ბევრით ვერაფრით გამოიჩინეს თავი ქართველთა გუნდებმა. ქვეყნის ჩემპიონი და გათამაშების ლიდერი ყაზანის "რუბინი" პერმში ჩავიდა "ამკართან" სათამაშოდ და მოულოდნელად ქულები დაკარგა. მატჩში საბრძოლო ფრე - 2:2 დაფიქსირდა. ქართველთაგან შეხვედრა სრულად ჩაატარა დავით კვიციანი, ნუკრი რევიშვილი და ლაშა სალუქვაძე კი განაცხადში ვერ მოხვედნენ.

მოსკოვში გამანადგურებელი მარცხი იწვია ლევან გვაზავას გარეშე მოთამაშე "ტერეკმა", რომელიც პირველი ტაიმი შემდეგ 0:1 მარცხდებოდა, მაგრამ საბოლოოდ 0:4 დათმო მატჩი.

ჩეხეთის გამბრინუსლიგაში 1:1 დასრულდა დიმიტრი ტატანაშვილის "ვიტორია პლზენისა" და გიორგი განუგრავას ყოფილი კლუბის "მლადა ბოლესლავის" დაპირისპირება. ქართველი თავდამსხმელი მინდორზე არ გამოჩენილა, პლზენელები კი 37 ქულით მე-8 ადგილზე

დარჩნენ.

უნგრეთის შოპრონი ლიგის 28-ე ტურში დაგეგმილი "ქართული" დერბი არ შედგა - "ნიორეგიონა სპარტაკუსის" ქართველი მცველი დავით იმედაშვილი მინდორზე იყო, "დიორეტოს" ქართველი ფეხბურთელები დავით ოდიკაძე და რატი ალექსიძე კი საქმეში არ ჩართულან.

მინდორზე 90 წუთი გაატარა დავით დევდარიანმა, რომლის "ორჟუსი" სტუმრად "რანდერსს" დაუზავდა. დანიის ჩემპიონატის 31 ტურის თავზე "ორჟუსს" 42 ქულა აქვს და მე-6 საფეხურზეა.

ბოლოს კი - აზერბაიჯანის ჩემპიონატზე. გიორგი ადამია, ამირან მუჯირი და გიორგი დემეტრაძე კლუბ "ბაკის" შემადგენლობაში ქვეყნის ჩემპიონები გახდნენ.

ტურნირის დასკვნით, 26-ე ტურში, ბაქოელებმა სალიანის "მულანს" უმასპინძლეს და 4:0 გაიმარჯვეს, რაშიც ერთგოლიანი წვლილი ადამიაშვილმა დაიღო. გიორგიმ 45-ე წუთზე გამოიჩინა თავი, 65-ეზე კი ტირანის დაუთმო ადგილი. მუჯირმა შეუცვლელად ითამაშა, დემეტრაძე კი მასპინძელთა განაცხადში არ ყოფილა.

ბრინჯაოს მედლები მოიპოვა ზაქათალის "სიმურგმა", რომელიც ლენქორანში "ხაზართან" 1:3 დამარცხდა.

ზაქათალელთა შემადგენლობაში შეუცვლელად ითამაშეს კახაბერ ჩხეტიანმა, დავით ბოლქვაძემ და მიხეილ მახვილაძემ, ტრავმირებული გრიგოლ დოლიძე კი მინდორზე არც ამჯერად გამოჩენილა.

0:0 დასრულდა ბაქოს ორი გუნდის - "ოლიმპიკისა" და "ნეფთჩის" დაპირისპირება. მასპინძელთა შემადგენლობაში ალექსანდრე გოგობერიშვილმა შეუცვლელად ითამაშა. უგოლო ფრე აღინიშნა ევლახის "ქარვანისა" და აგდამის "ყარაბაღის" მატჩში.

# ფალიანს დაბიუტი გამოუვიდა, ახალგაზრდებს - შედეგი

კაუნასის "ა" კლასის საერთაშორისო ტურნირს კრივის ქართველი გულშემატკივრებისთვის ის დატვირთვა ჰქონდა, რომ მასში მწვრთნელის რანგში დებიუტი ჰქონდა რამაზ ფალიანს. უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ დებიუტი შედგა. მისი შეგირდებიდან ორმა ჩემპიონობა მოიპოვა, ერთმა ვერცხლის მედალი, ხოლო მეორემ ბრინჯაოსი. ეს ყველაფერი გუნდურ მეორე ადგილშია კონვერტირებული. უმთავრესი ნაკრების პარალელურად უკრაინაში საკუთარ თავს ცდიდნენ ახალგაზრდებიც. თავი არც მათ შეურცხვენიათ - გუნდური პირველი ადგილი.

ევროპის ორგზის ჩემპიონის ალგირდას შოცისასის სახელობის "ა" კლასის საერთაშორისო ტურნირში 15 ქვეყნის ნაკრებმა იასპარეზა. მათ შორის საქართველოს ნაკრების ხუთმა წარმომადგენელმაც აქედან ოთხმა კვარცხლბეკზე ასვლის პატივი დაიმსახურა. კობა ფხაკაძე (60 კგ.) და კახაბერ ჟვანია (69 კგ.) ჩემპიონები გახდნენ, მინდია ჭინჭარაულს (57 კგ.) კი ოქროს მედალმდე ერთი ნაბიჯი დააკლდა, ხოლო

მესამე ადგილი თემურ ლაშხიას (91 კგ.) დამსახურებაა. ერთადერთი ვისაც არ გაუმართლა ზაალ კვაჭაძაძეა (69 კგ.) რომელმაც ნაგება მომავალ ფინალისტთან იგემა. "ტურნირზე გამგზავრება მისი სიძლიერის გამო გადაწყვიტეთ. კარგია, რომ ბიჭები ძლიერ მეტოქეებთან გამოვცადეთ. კმაყოფილი ვარ შედეგითაც. რაც ამ ეტაპზე შეეძლოთ ბიჭებს იმის მაქსიმუმი გააკეთეს. ჩვენი მთავარი სამიზნე

ევროპის ჩემპიონატია, უმთავრესი ამოცანა კი 2012 წლის ლონდონის ოლიმპიურ თამაშებამდე ძლიერი გუნდის ჩამოყალიბებაა", - სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში აცხადებდა ნაკრების მთავარი მწვრთნელი რამაზ ფალიანი. უკრაინულ წარმატებაზე ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა ბეჟან ჭიჭინავამ ისაუბრა. "ბელაია ცერკოვის" საერთაშორისო ტურნირზე ჭიჭინავას რაზმმა სამ-სამი ოქროვერცხლი დაისაკუთრეს და იმავდროულად გუნდურ ჩათვლაშიც საუკეთესოები აღმოჩნდნენ. ყველაზე შორს წავიდნენ სევერიან ჭილაძე (48 კგ.), ავთანდილ ჭუბაბრია (51 კგ.) და ადელ ასლანოვი (54 კგ.), ვერცხლის მედალები კი თორნიკე კოტრიკაძემ (57 კგ.), ჯაბა ხო-

სიტაშვილმა (69 კგ.) და იაგო კიზირიამ (81 კგ.) მოპოვეს. ამასთან უმთავრესი ნაკრების არ იყოს, უმედლოდ აქაც ერთი მოკრივე გიორგი ჯაფარიძე (64 კგ.) დარჩა. "ახალგაზრდულ ასაკში წარმატება მომავლისთვის იმედს გვისახავს. საუცხოო მოსამზადებელმა პირობებმა საკუთარი შედეგი გამოიღო, - ვიტყობთ ბეჟან ჭიჭინავასგან. - ახალგაზრდულმა ნაკრებმა ორი ერთობლივი შეკრება გაიარა აზერბაიჯანის გუნდთან, რასაც მოყვა უფროსთა შორის საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობაც. რომ არაფერი ვთქვათ, ძირითად ნაკრებთან ერთობლივ დასკვნით მოსამზადებელ ეტაპზე". უკრაინულ ტურნირზე რვა ქვეყნის ნაკრებმა იასპარეზა.

# ტორინოში დადებით ბალანსადე ორი მოხება აქლია

ტოკიოში გრძელდება სეზონის მესამე სუპერტურნირი სუმოში, რომელშიც წარმატებით გამოდის ახალგაზრდა ლევან გორგაძე, მეტსახელად ტორინოშინი. მას ოდნავ ჩამორჩა გამოცდილი ლევან ცაგურია, მეტსახელად კოკაი, თუმცა, ასპარეზობის ცხრა დღის შემდეგ ორივე ქართველს კარგი მაჩვენებელი აქვს და სრულიად რეალურია ვარაუდი, რომ მაისის ბაზოს დადებითი ბალანსით დაასრულებენ და ივნისში გამოქვეყნებულ რეიტინგში წინ წაიწევენ. გუშინ კოკაი შეხვდა დასავლეთის მეთერთმეტე მაიგაშირა ტორინოშინს. ქართველმა ვერ შეძლო ზედიზედ მეოთხე გამარჯვების მოპოვება და მეტოქესთან კოტენავგეს ილეთით დამარცხდა. ტორინოშინი შედარებით გვიან გავიდა დოპიოზე. საქმე ის არის, რომ თავდაპირველად ას-



ტორინოშიმა შექცეს ბრძოლა მოიგო

პარეზობაში ერთევიან რეიტინგით დაბლა მდგომი სუმოისტები, ფავორიტები კი დღის მეორე ნახევარში არკვევენ ურთიერთობას. სწორედ ამ დროს მოუხდა ბრძოლის ჩატარება ტორინოშინს, რადგან ის რეიტინგით გაცილებით მაღლა მდგომ ტორინოშინს ხვდებოდა. დასავლეთის მეტოქე მაიგაშირას რანგში მყოფმა ქართველმა იორიტაომის ილეთით დაამარცხა აღმო-

სავლეთის მესამე მაიგაშირა ტორინოშიმა და აქტივში მეექვსე გამარჯვება ჩაინერა. ასე რომ, დადებითი ბალანსისთვის ტორინოშინს კიდევ ორი მოხება სჭირდება, კოკაის კი - სამი. გუშინდელმა დღემ არაფერი შეცვალა ლიდერთა შორის. ასპროცენტინი მაჩვენებლით ვირტუალურ სატურნირო ცხრილს სათავეში უდგანან იოკოძუნა ჰაკუშო და და ოძეკი ჰარუმოფუჯი. მეორე იოკოძუნა ასოშორიუკი ერთი მარცხით და რვა გამარჯვებით აგრძელებს ბრძოლას იმპერატორის თასისთვის. დღეს კოკაის მეტოქე იქნება დასავლეთის მეთორმეტე მაიგაშირა ჯემა, რომელმაც ცხრიდან ექვსი ბრძოლა წააგო, ტორინოშინი კი შეხვდება აღმოსავლეთის მეთორმეტე მაიგაშირა მიაბაიამას, რომელსაც, ქართველის მსგავსად, ცხრა ბრძოლა აქვს მოგებული.

### ტევისი განაწყენებული მიდის

"მანჩესტერ იუნაიტედის" არგენტინელი ფორვარდი კარლოს ტევისი კლუბის დატოვებას აპირებს, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე დღის წინ თავად ფერაუსონი აცხადებდა, ტევისის შენარჩუნება მიზნად და კლუბის ხელმძღვანელები მას ახალი კონტრაქტის თაობაზე დალაპარაკებინათ. როგორც ჩანს, ფერაუსონის ეს განცხადება დაგვიანებულია, რადგან ტევისმა თავის აგენტს უკვე დაავალა ახალი კლუბის მოძებნა. არგენტინელს მიაჩნია, რომ მას მანკუნიანურ კლუბში სათანადოდ არ სცემენ პატივს, რაზეც კარლოსმა ინგლისელ ჟურნალისტებთან ისაუბრა. "მანჩესტერისთვის" თამაში აღარ მინდა. კლუბში არასათანადოდ მექცევინ. არ გეგონოთ, ამას ფულის გამო ვამბობდე. ის, რომ სხვებზე ნაკლები ხელფასი მაქვს, დიდად მნიშვნელოვანი არ არის - ცოტა მეტს გადამიხდინათ თუ ცოტა ნაკლებს, ამას ყურადღებას არ ვაქცევ. უბრალოდ, გვრძნობ, რომ ცუდად მეპყრობიან. რა ხანია, ამ კლუბში ვარ და გუნდის ხელმძღვანელობა ერთხელაც არ შემხვედრია. თუ ჩემთან კონტრაქტის გაგრძელებაზე ფიქრობენ, ეს ხომ ჩემთვისაც უნდა ეთქვათ. მათ კი საუბრის ღირსადაც არ ჩამთვალეს. უპატივცემლობის გარდა, ამას სხვა სახელი არ ჰქვია. საკუთარ აგენტს ვთხოვე, რომ ჩემს მომავალთან დაკავშირებით უახლოესი ათი დღის განმავლობაში მოლაპარაკებები არ აწარმოოს, რადგან სეზონის ბოლო მატჩებზე მინდა კონცენტრირება. ამის შემდეგ კი კარიერის გარძელების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად დაახლოებით ერთი თვე მექნება", - განაცხადა გაბრაზებული ტევისმა.

### გია ლაბაძე "ტულონიდან" გააცილეს

გია ლაბაძე "ტულონიდან" გააცილეს - 35 წლის დამსახურებული მორაგბე, რომლის კაპიტნობით "შროშანები" ("ტულონის" სიმბოლო) გასულ სეზონზე მე-2 დივიზიონიდან "ტოპ 14"-ში გადავიდნენ, ცრემლიანი ტოვებდა "ფელიქს მაიოლის" სტადიონს. საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში, რომელშიც "ტულონი" მშობლიურ სტადიონზე მამუკა გორგოძის "მონპელიეს" დაეტაკა (23:3), საქართველოს ნაკრების ფლანკერს გაცილებდა მოუწყვეს. ტულონელი ფანები ფეხზე ამდგარი, ოვაციით აცილებდნენ კაცს, რომელიც 9 წელი ერთგულად ემსახურა კლუბს და ამ ხნის განმავლობაში მისი ჭირი და ლხინი გაიზიარა. "მე ვტოვებ "ტულონს" დიდი გულით. წლების განმავლობაში ამ გუნდს ბევრი მივეცი და ბედნიერი ვარ, რომ გულშემატკივრებმა ასე დამაფასეს. ეს არის პროფესიონალური სამყარო, რომელშიც გრძნობები უკანა პლანზე გადადის," - თქვა მატჩის შემდეგ აღელვებულმა გია ლაბაძემ.

### ელენი "ოსერში" რჩება

პოლონეთის ნაკრების ფორვარდმა ირენეუმ ელენმა ფრანგულ "ოსერთან" კონტრაქტი გაახანგრძლივა და კლუბში 2011 წლამდე დარჩება. მიმდინარე სეზონში 28 წლის ფორვარდმა 24 მატჩი ჩაატარა და 12 გოლი გაიტანა. ამ მაჩვენებლით ის საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირებს შორის მეექვსე ადგილზეა. პოლონელი 2006 წელს "პლოცკიდან" გადავიდა "ოსერში" და საფრანგეთის პირველობაზე გამართულ 88 მატჩში 27 გოლი მიითვალა.

### ლაურსენი ფეხბურთიდან წავიდა

ბირმინგემის "ასტონ ვილას" და დანიის ნაკრების ფეხბურთელი მარტინ ლაურსენი ფეხბურთიდან წავიდა. მართალია, ლაურსენი არც ისე ასაკოვანია, რომ კარიერა დაასრულოს, მაგრამ ტრავმებმა შეანუხა და იმისთვის, რომ თამაშის გაგრძელება შეძლოს, ფეხზე მორიგი ოპერაციის გაკეთება საჭირო. სწორედ ამას მოერიდა ლაურსენი და გადაწყვიტა, ფეხბურთისთვის თავი დაენებებინა, რაც ბირმინგემული კლუბის ოფიციალური ვებგვერდის მიერ გავრცელებული განცხადების შემდეგ გახდა ცნობილი. 31 წლის ფეხბურთელი "ასტონ ვილაში" 2004 წელს იტალიის "მილანიდან" გადავიდა და პრემიერლიგაში ჩატარებულ 84 მატჩში 9 გოლი გაიტანა. 2000-2008 წლებში მან 99-ჯერ დაიცვა დანიის ნაკრების ღირსება და 14-ჯერ აიღო მეტოქის კარი.

# ნადალმა ფედერერი "როლან ბაროშდე" განაწყენ

### ბიბა გურასაშვილი

2007 წლის შემდეგ როჯერ ფედერერს რაფაელ ნადალისთვის არ მოუგია. ამიტომ ამბობდნენ, შვეიცარიელის ხანას ესპანელისა ჩაენაცვლაო. როგორ განვითარდება მოვლენები, ამის წინასწარ განჭვრეტა ძნელია, დღეს კი ორწლიანი პაუზის შემდეგ როჯერმა რაფა დაამარცხა (6:4, 6:4). ნავსი მადრიდის "მასტერსის" ფინალში გატყდა. ამასობაში მსოფლიოს პირველი ჩოგანი რაფაელ ნადალი პრინციპულ მეტოქეზე ამბობს, საფრანგეთის ღია ჩემპიონატის მოგება შეუძლიაო. დიდი სლემის 12 ტურნირის გამარჯვებულს ერთადერთ ცარიელ ადგილად "როლან გარო" რჩება. შვეიცარიელისთვის მთავარი თიხნარი კორტი ჯერ ისევ მოურჯულელებელია. "მნიშვნელობა არა აქვს, რეი-



მადრიდულ "მასტერსზე" ფედერერმა ნადალთან ნავსი გატეხა

ტინგის რომელ საფეხურზეა. ფედერერს შეუძლია მოიგოს "როლან გარო". მან ეს საკუთარი კარიერის განმავლობაში დამტკიცა. პარიზი პირველი წრიდან იწყება და არა ფინალიდან, - თავის მოსაზრებას გვიზიარებს დიდი სლემის ექვსი ტიტულის მამბეები და იქვე მიანიშნებს, შეჯიბრების მსვლელობისას ვაპირებ უახლოეს მეტოქეზე მოვახდინო

კონცენტრირება და არა შესაძლო ფინალზეო, - მადრიდულ ტურნირს არაფერი აქვს საერთო "როლან გაროსთან". ასე რომ, ფედერერთან "მასტერსზე" ნაგებით გონებას არ დავიღლი. მადრიდული თიხა მკვეთრად განსხვავდება პარიზისაგან". საფრანგეთის ღია ჩემპიონატამდე ესპანელს დასვენება გაწეზრახავს. არც მუხლი აწუხებს,

**elite** 2009  
MODEL LOOK  
GEORGIA

**GET TO THE TOP**  
2009

**დაიკყარი მწვერვალს!  
გახდი მოდელი!**

საპრიზო ფონდი  
**\$275 000**

Tamar Shedania - Elite Model Look Georgia 2007



**Elite Model Look Georgia 2009**

სამოდელო სააგენტო "IC Model Management"-იგინვეთ საერთაშორისო სამოდელო კონკურსს Elite Model Look Georgia 2009-ში მონაწილეობის შესაძლებლობად.

ლინდა ევანგელისტა, სტეფანი სეიმური, ჯეილია შიფუი, სინდი ჯიოუფოხი - მათ აიხიეს Elite Model Look-ი და გახდნენ კოპ მოდელები.

13-22 ნაშენი ასაკის გოგონებო, გამოიყენეთ თქვენი შანსი, მიიღეთ მონაწილეობა და გადადგით პიხველი ნაბიჯი კოპ მოდელობისაკენ!

გამაჩვენებელი გამგზავნება Elite Model Look-ის საერთაშორისო ფინანსზე, სადაც მას ელის კონტრაქტი სააგენტო ელიტთან და **\$275 000** საპრიზო ფონდი.

თამთა შედანია და ანა კოვაჩი საქართველოდან უკვე თანამშრომლობენ სააგენტო ელიტთან და ნახმაგებით აჩვენებენ საერთაშორისო სამოდელო კარიერას.



Anna Kovvach - Elite Model Look Georgia 2008



**იჩქარეთ! გაიარეთ რეგისტრაცია!**

მისამართი: ნიუ ნორდის №6 ყოველდღე 11.00 - 18.00 საათამდე (კვირის გახდა); ტელ: 200020; 985148; მობ: 855-959025; info@elitemodellook.ge; casting@icmodels.ge

www.elitemodellookgeorgia.ge • www.icmodels.ge



**თვალის მიკროქირურგიის**  
**ჯ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი ს**  
**კლინიკა**  
**"ოფთალმიჯი"**

**ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით**  
**და ერთი მოქმედი საოპერაციო**  
**ბლოკით**

**SLT-ლაზერი**  
გლაუკომის ქირურგიაში

ოფთალმოქირურგიული ტექნიკის  
უკანასკნელი მიღწევა  
ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

**დავით ტატიშვილის**  
**სამედიცინო ცენტრის**  
**მანუალური თერაპიის**  
**და სამკურნალო**  
**მასაჟის სპეციალისტი**  
**ირაკლი ძიძიგური**

გთავაზობთ:  
ყველა ასაკის პაციენტთათვის - დისკოზის, ოსტეოქონდროზის, სკოლიოზის, ართროზის მკურნალობას, ოპერაციის და ტრავმის შემდგომ რეაბილიტაციას თანამედროვე აპარატურისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი  
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20  
(ვაკე, "სამების" ეკლესიის უკან)  
ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (899) 222 912;

**24 საათი** **The New York Times** **Weekend**

Articles selected for **24 საათი**

**1 მარტიდან**

საჯალლო ვაჭრობაში "24 საათის" სამშაბათის ნომერი "ნიუ იორკ თაიმსთან" ერთად ეღირება 1 ლარი. ასევე 1 ლარი ეღირება შაბათის გამოცემა WEEKEND. ხელმომწერებს ეს ცვლილებები არ შეეხებათ, მათთვის "24 საათის" ყველა ნომრის ფასი 50 თეთრი იქნება. მარტიდან შესაძლებელი იქნება "24 საათისგან" დამოუკიდებლად მხოლოდ სამშაბათისა და შაბათის ნომრების ცალ-ცალკე გამოწერაც. ასეთ შემთხვევაში ხელმომწერის ფასები შესაბამისად იქნება:

1 წლით ————— 52 ლარი;  
6 თვით ————— 26 ლარი;  
3 თვით ————— 13 ლარი;  
1 თვით ————— 4 ლარი.

დანვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 8 (55) 53 56 55 ალექო ლომიძე;



# ბეტონშემრევი: BMC PRO 935 FTE 8X4

## მიწოდების ვადა 1 დღე

# BMC

ტექნიკის ტიპი: ბეტონშემრევი  
 მწარმოებელი: BMC  
 მოდელი: BMC PRO 935 FTE  
 მოცულობა: 10 მ.3  
 ძრავი: Cummins C 350-20  
 (Euro2) Turbo Intercooler  
 სიმძლავრე: 350 ცხ.ძ.  
 გადაცემათა კოლოფი: ZF 16 S  
 ბეტონშემრევი დანადგარი:  
 LIEBHERR  
 გარანტია: 1 წელი  
 მიწოდების ვადა: 1 დღე



ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.

TEGETA TRUCK & BUS LTD

☎ 24-47-44, ☎ 24-47-44 (1219)

### დაზუსტება სატენდერო განცხადებაში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ქალაქის შესყიდვის მიზნით მიმდინარე წლის 6 მაისს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებული ხელახალი ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მეხუთე და მეექვსე პოზიციებში - ენზოს ტიპის (ნიგნის ქალაქი)-- დაზუსტდეს შესყიდვის ობიექტის დასახელება, კერძოდ:

- 5. ენზოს ტიპის (ნიგნის ქალაქი) 70 გრამიანი, A3 ფორმატის— 300 შეკვრა;
- 6. "ენზოს" ტიპის (ნიგნის ქალაქი) 80 გრამიანი A3 ფორმატის— 300 შეკვრა.

სატენდერო კომისია

### იყიდება!

რუსული წარმოების "დრაბილკა", აღჭურვილი ტექნიკით.

ლიცენზია 80 000 კვ.ჯ.

მღებარეობს მცხეთის რ-ნი

სოფელი ახალი ნიჩხისი.

ფასი: 350 000\$

საკონტაქტო ტელეფონი: 877 24 44 84, ირაკლი



United Nations Population Fund  
ბაზრითაწარმოებული პროდუქტების ფონდი

ბაზროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) პროექტი  
 "დავით აღმაშენებლის ქალაქის ადგილობრივი ადმინისტრაციისთვის" იწვევს  
 დაინტერესებულ ორგანიზაციებს წარმოადგინონ თავიანთი  
 წინადადებები

გენდერის საკითხებზე ტრენინგების ჩასატარებლად

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა  
დაინტერესებულ კვალიფიციურ ორგანიზაციას;

დოკუმენტაცია იხილეთ შემდეგ ვებ-გვერდზე:  
<http://www.jobs.ge/17995/>

საბუთების ჩაბარების ბოლო ვადაა 2009 წლის  
15 ივნისი, 18:00 საათი.

